ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი, 2016 №255 (7181) ფასი: 50 თეთრი

ქრწანისის ცენტრი: ინციდენტი მოხდა ღამის 4-ის ნახევარზე, დაღუპულის ცხედარი აღმოჩენილია 8-ის ნახევარზე

გვ.7

ვახტანგ მაისაია: „სულ ცოტა, ორი გასროლა მაინც იყო. ერთი ჰაერში და მეორე – ობიექტის მიმართ უშუალო დამიზნების გამო“

გია ვოლსკი: „პარლამენტის თავმჯდომარედ ჩემი კანდიდატურა არ განხილულა“

გვ.3

„თავისუფალ დემოკრატებთან საიდუმლო შეხვედრა არ მქონია“

ირაკლი ალასანია საქართველოდან მიდის

გვ.2

„ქართველმა ხალხმა არჩევანი თავისუფალ გარემოში გააკეთა“

გვ.4

ბიძინა გუჯაბიძე: „ეჭვი გვაქვს, რომ ნაცმოძრაობამ ამომრჩევლის მიმართ მოსყიდვა და კომპრომატები გამოიყენა“

„პატრიოტთა ალიანსის განცხადებები უსაფუძვლოა“

გვ.4

ეკა გიგაური: „საკონსტიტუციო უმრავლესობა საქართველოში საფრთხის შემცველია“

არჩევნები პოლიტიზირებული თემაა, მაგრამ ეს საკითხი მეტისმეტად პოლიტიზირებული გახდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა მაღალი პოლიტიკური კულტურა აჩვენონ.

პრემიერმა მთავრობაში ცვლილებები დააანონსა

გვ.2

გვ.6

ISSN 1987-9385

ლევან კალანდაძე: „წლის ბოლომდე ლარის გამყარების მოლოდინი არ მაქვს“

საქართველო მოწინავე 10 ქვეყანას შორისაა, რომლებმაც ბიზნესის წარმოების რეიტინგში საკუთარი მაჩვენებლები გლობალური მასშტაბით გააუმჯობესეს

გვ.5

ეკა გიგაური: „საკონსტიტუციო უმრავლესობა საქართველოში საფრთხის შემცველია“

ნონა ცაბაძე

არჩევნები მეორე ტური აქტუალობას არ კარგავს. რა დარღვევები დაფიქსირდა არჩევნების პირველ ტურზე? რამდენად დაძაბული მეორე ტური გველის? რა დასკვნები დადეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა? პირველ რიგში რა ცვლილებები უნდა შევიდეს კონსტიტუციაში? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური პასუხობს.

– ეკა, რამდენიმე დღეში მეორე ტური გაიმართება. როგორია თქვენი ორგანიზაციის შეფასებები პირველ ტურთან დაკავშირებით? მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები დადებითად აფასებენ ამ პროცესს, ოპოზიციური პარტიები საუბრობენ, რომ არჩევნები გაყალბდა. რას იტყვით თქვენ?

– ჩვენს ორგანიზაციას წარდგენილი ჰყავდა 450 დამკვირვებელი. ძირითადი ნაწილი, 400 კაცი, გვყავდა სტატიკური დამკვირვებელი, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში იყვნენ უბანზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით და ნაწილი იყო მობილური ჯგუფების, რომლებიც ბევრ უბანზე იმყოფებოდნენ და ვცდილობდით ყველა ის პრობლემა, რომელზეც ვიღებდით ინფორმაციას, დაგვეფიქსირებინა.

– აქედან გამომდინარე, რა დასკვნა დადეთ?

– ჩვენმა ორგანიზაციამ ოთხი განცხადება გააკეთა არჩევნების დღეს, ხოლო მეორე დღეს მთლიანად შევაფასეთ არჩევნები, სადაც ვსაუბრობდით კონკრეტულ ტენდენციებზე, მაგრამ ასევე ვთქვით, რომ ეს არჩევნები იყო ბევრად იმაზე უკეთესი, რომელიც ჩვენ ჩაგვიტარებია. განსაკუთრებით საპარლამენტო არჩევნებს ვგულისხმობ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ არ იყო გარკვეული პრობლემები. მეც დავეთანხმები საერთაშორისო ორგანიზაციებს და ვიტყვი, რომ თავისუფალ გარემოში გააკეთა ქართველმა ხალხმა არჩევანი. მიუხედავად ცალკეული ინციდენტებისა, მაინც კარგად ჩატარდა ეს არჩევნები.

– საპირისპირო გვესმის პოლიტიკური პარტიების მხრიდან.

– არჩევნები პოლიტიზირებული თემაა, მაგრამ ეს საკითხი მეტისმეტად პოლიტიზირებული გახდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა მაღალი პოლიტიკური კულტურა აჩვენონ. ცხადია, მათ არავინ უკრძალავს, ისაუბრონ იმ პრობლემებზე, რომლებიც მათ შეხვდათ, თუმცა მასობრივ გაყალბებაზე საუბარი და არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხის დაყენება არ არის სწორი.

„ქართველმა ხალხმა არჩევანი თავისუფალ გარემოში გააკეთა“

– ანუ გაყალბებას ადგილი არ ჰქონია?

– კონკრეტულ პრობლემებზე ჩვენ ჩვენს განცხადებებში ვსაუბრობდით. იყო გარკვეული პრობლემები ადგილებზე, კომისიის წევრების კვალიფიკაციასთან. ეს იყო ყველაზე დიდი პრობლემა, რასაც ჩვენ შევხვდით. საკმაოდ კონკურენტული არჩევნები იყო, ფონიც დაძაბული და ამ ფონზე საკმაოდ რთული პროცედურები გვაქვს, გასაფორმებელია უამრავი დოკუმენტაცია, რაც კიდევ უფრო ართულებს ადგილებზე კომისიების მუშაობას.

– ამ საკითხზე იყო თქვენი შენიშვნები?

– ჩვენი მთავარი რეკომენდაცია იყო, რომ მათი კვალიფიკაციის საკითხი უნდა დადგეს და მათ უფრო მეტი ტრეინინგი ჩაუტარდეს. ასევე იმისთვის, რომ ცესკოს გაუმარტივდეს ადმინისტრირება არჩევნების, ჩვენ უნდა ვიფიქროთ ელექტრონული ხმის მიცემის წესზე. ტექნოლოგიების შემოტანა ამ პროცესში არის ძალიან მნიშვნელოვანი. 21-ე საუკუნეა და მხოლოდ ფურცელზე დაყრდნობით ძალიან რთულია ამ ყველაფრის გაკეთება.

– მეტად დაზღვეულები ვიქნებით?

– რა თქმა უნდა, ამ სისტემის მიმართ უნდა იყოს ნდობა. ასევე დაცვის სისტემებიც უნდა შეიქმნას და მანიპულაცია გამოირიცხოს. ჩვენი დასკვნების შედეგად ვიტყოდი, რომ ყველაზე პრობლემატური იყო ის სამი უბანი, სადაც დაპირისპირებები მოხდა.

– ეკა, ერთმანეთს აბრალებდნენ მხარეები ამ კონკრეტულ უბნებზე არჩევნების ჩაშლას. რა იყო სინამდვილეში?

– ცხადია, ჩვენ გამოძიება არ ჩაგვიტარებია, მაგრამ, ჩვენი ინფორმაციით, მარნეულში უფრო აქტიურობდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. იქ დაძაბულობის განმუხტვის თვალსაზრისით, პოლიცია იყო საკმაოდ მობილიზებული და ეფექტური. რაც შეეხება ზუგდიდს, აქ იყო ორი უბანი, რომელიც იქნა დარბეული, მიუხედავად იმისა, რომ იქ პოლიციელები ახლო-მახლო იყვნენ, მათ ეფექტურად არ უმოქმედიათ და ეს უნდა აღინიშნოს.

– რამდენიმე უბნის ინციდენტი საერთო სურათს ცვლის?

– ცხადია, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ეს ძალადობის ფაქტები არ გვქონოდა, მაგრამ 3.700 უბნიდან ასეთი პრობლემები ჩვენ გვქონდა 4 უბანზე და ამიტომ ამ შეხედულებას ყველა უბანზე ვერ განვავრცობთ. ამ არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხი ნამდვილად არ დგება და ამაზე ლაპარაკი არის ზედმეტი და არასწორი.

– წინ მეორე ტურია. მიუხედავად იმისა, რომ კეთდებოდა შეფასებები, რომ მრავალპარტიული პარლამენტი გვეყოლებოდა, ვხედავთ, რომ სულ სხვა სურათი მივიღეთ. რამდენად ჯანსაღ და დემოკრატიულ პროცესებს ელით?

– ეს იყო არჩევანი საზოგადოების. უნდა ვთქვა ისიც, რომ ჩემი არც ერთი ფავორიტი არ გავიდა პარლამენტში, ვერ დავმალავ ამ გულისტკივილს. მიუხედავად ყველაფრისა, ეს იყო ჩვენი ხალხის არჩევანი და ყველამ ამ არჩევანს პატივი უნდა ვცეთ.

– ეს რამდენად დააზარალებს დემოკრატიულ პროცესს?

– ძალიან დიდ პასუხისმგებლობას იღებს ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება“. მათ ამ შემადგენლობით და ამ რაოდენობით, შეუძლიათ ძალიან ბევრი კარგი რამე გააკეთონ, მაგრამ ასევე ძალიან ბევრი მტკივნეული შეცდომაც დაუშვან. ეს დიდი ძალაუფლება ზუსტად ამის მომტანია.

– თქვენ მიანიშნებთ საკონსტიტუციო უმრავლესობაზე?

– ჩვენ წარსულში გვქონდა გამოცდილება, როდესაც კონსტიტუციური უმრავლესობა ჰქონდა პოლიტიკურ პარტიას. ვერ ვიტყოდი, რომ მათ ამ პერიოდის განმავლობაში შეცდომები არ დაუშვიათ და მართლაც მტკივნეული შეცდომები დაუშვეს. თუმცა, ეკონომიკის განვითარების მხრივ რაღაცები გაკეთდა. თუმცა იმის გამო, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ამდენი პრობლემა იყო, ამან გადაფარა ეს ყველაფერი.

– „ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის გარშემო ნაციონალებმა და საზოგადოების ნაწილმა უკვე გაილა შერეს. ისმოდა მოწოდებები, რომ მეორე ტურში მხარი ოპოზიციისთვის დაეჭირათ. თუმცა გვესმის შეფასებები, რომ ნაციონალებს ეს კამპანია ჩაუვარდათ. რამდენად სწორი იყო მსგავსი აქციები?

– ამ ადამიანებსაც ჰქონდათ საკუთარი მოსაზრება. საკონსტიტუციო უმრავლესობა ისეთ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები უფრო სუსტია, არის საფრთხის შემცველი. საფრთხეები რომ დიდია, ამის თაობაზე მეც ვისაუბრე. თუმცა მე თავს შევიკავებდი, ჩვენს მოქალაქეებს რომ მოვუწოდო, რომელ პარტიას მისცენ ხმა.

– უკვე კეთდება განცხადებები, რომ კონსტიტუციაში შევა ცვლილებები. რამდენად შესაცვლელი და დასახვეწია ჩვენი კონსტიტუცია და რას ურჩევდით ხელისუფლებას, რა ცვლილება უნდა იყოს პირველი, რომელიც კონსტიტუციაში შევა?

– პირველი ცვლილება უნდა იყოს საარჩევნო სისტემის შეცვლა. თუკი ვინმეს უფრო მეტი დემოკრატიის სტანდარტის დამკვიდრება უნდა საქართველოში, პირველ რიგში, ამ პრობლემას უნდა შეხედოს. რაც შეეხება პრეზიდენტის ფუნქციებს, მე, მაგალითად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრე ვარ, რადგან მგონია, რომ ის ქვეყანა, რომელიც ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, რომელმაც ძალიან სწრაფად უნდა ჩაატაროს რეფორმები, გადაწყვეტილებები ძალიან სწრაფად უნდა იქნას მიღებული და ასე შემდეგ. უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყოს.

– აქ სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა.

– დიახ, აქ შეხედულებები იყოფა. მთავარი კი ამ ყველაფერში ის არის, რომ საქართველოში უნდა იყოს მაქსიმალურად დაბალანსებული სისტემა, რომ ინსტიტუტები ერთმანეთს აბალანსებდნენ.

პრემიერმა მთავრობაში ცვლილებები დააანონსა

– ეკონომიკური ბლოკის სამინისტროების შერწყმა არ იგეგმება, თუმცა სამინისტროების მიმართულებით გარკვეული ცვლილებები გამორიცხული არ არის.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა სამინისტროების ოპტიმიზაციის საკითხის კომენტირებისას განუცხადა და აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციები გრძელდება.

– ისე, სჯობს დავიცადოთ, იმიტომ, რომ ეს არჩევნების ეპოპეა უნდა დასრულდეს, ალბათ. 30 ოქტომბერს არის მეორე ტური და გვინდა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ იცოდეს, რომ არჩევნები ჯერ არ დასრულებულა. შემდგომ იქნება გარკვეული პერიოდი იმისთვის, რომ პარლამენტში წარდგეს მთავრობა.

არ არის გამორიცხული, გარკვეული ცვლილებები სამინისტროების მიმართულებითაც. ეკონომიკური ბლოკის სამინისტროების შერწყმა არ იგეგმება, თუ ამას კითხულობთ, მაგრამ გარკვეული პატარა ცვლილებები იქნება. ვაგრძელებთ კონსულტაციებს მინისტრთა კაბინეტთან და ამაზე შეიტყობთ, როცა ამის დრო იქნება, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პირველი რადიო

ჭიაბერაშვილი: „ცვლილებებს მნიშვნელობა არ აქვს, საქართველოს ივანიშვილი მართავს“

საპარლამენტო ოპოზიციის განცხადებით, მთავრობის ოპტიმიზაციას მნიშვნელობა მაშინ აქვს, თუ ბიუროკრატიული ხარჯები შემცირდება.

მათი თქმით, 2017 წლის ბიუჯეტში ადმინისტრაციული ხარჯები კიდევ უფრო გაზრდილია და ის 195 მილიონი ლარია.

– საქართველოს მართავს ივანიშვილის მარიონეტების მთავრობა და, შესაბამისად, ამ მთავრობაში ერთ პირს გამოცვლიან მეორეთი თუ მეორეს გამოცვლიან მესამეთი, ეს არსებითად ვერ შეცვლის მდგომარეობას, – აცხადებს ზურაბ ჭიაბერაშვილი.

პირველი რადიო

ამირან სალუქვაძე: „სამხედრო ბაზებზე უსაფრთხოების თანამედროვე სისტემები არ არის“

სამხედრო ექსპერტი, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი ამირან სალუქვაძე კრწანისის სასწავლო ცენტრში მომხდარ ინციდენტზე საუბრობს და აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტრო გამოძიებას სწორი მიმართულებით წაიყვანს.

– ვერ ვხედავ ვერანაირი მოტივაციას, რომ თავდაცვის სამინისტრომ არასწორი მიმართულებით წაიყვანოს გამოძიება. აქ არანაირი ინტერესი არ არის, – განაცხადა ამირან სალუქვაძემ.

მისი თქმით, არც ერთ სამხედრო ობიექტზე ჯერჯერობით არ არის უსაფრთხოების თანამედროვე სისტემები განთავსებული. მიზეზად კი ამირან სალუქვაძე დიდ დანახარჯებს ასახელებს.

– ყველგან სათვალთვალო კამერებს ვერ დააყენებ და ამ მიმართულებით იქნება საჭირო მუშაობა, – აღნიშნა სალუქვაძემ.

სალუქვაძემ აქვე აღნიშნა, რომ გენერალურ შტაბში პრობლემებია.

– პრობლემები გენერალურ შტაბში არის და ეს არ არის დღევანდელი დღის პრობლემა, ეს წლების განმავლობაში არის დაგროვილი და იმედია, თავდაცვის მინისტრი და პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამ მიმართულებით იმუშავებენ, მაგრამ ეს არ ეხება კონკრეტულად გუშაგის ამ მოქმედებას და ამ ფაქტს, – განაცხადა ამირან სალუქვაძემ.

მისი თქმით, გუშაგმა წესდების თანახმად იმოქმედა.

– ასეთი ფაქტები რომ არ მოხდეს, უკეთ უნდა დავიცვათ ჩვენი ტერიტორიები თანამედროვე საშუალებებით, – განაცხადა სალუქვაძემ.

პირველი რადიო

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გია ვოლსკი: „პარლამენტის თავმჯდომარედ ჩემი კანდიდატურა არ განხილულა“

„თავისუფალ დემოკრატებთან საიდუმლო შეხვედრა არ მქონია“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ჯერ არ შეკრებილა ის მაგიდა, რომელმაც მომავალი პარლამენტის თავმჯდომარისა და სხვა საპარლამენტო თანამდებობების საკითხები უნდა განიხილოს.

– ბატონო გია, გარკვეული სამინისტროების ოპტიმიზაციაზე, შერწყმაზე ინფორმაცია არსებობს. პრემიერ-მინისტრმა არ გამორიცხა, რომ მოხდეს სამინისტროების შერწყმა, თუმცა, მისივე განცხადებით, ეს არ ეხება ეკონომიკური ბლოკის სამინისტროებს. რომელ სამინისტროებზეა საუბარი?

– სამინისტროების ოპტიმიზაციაში და გარკვეული სახის ცვლილებებში დრამატულს ვერაფერს ვხედავ. არ მგონია, რომ ეს იყოს ძალიან მასშტაბური ცვლილებები. თუმცა, უკეთესი იქნება, ამ საკითხთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას დაველოდოთ.

– კონკრეტულად რომელ სამინისტროებს შეიძლება შეეხოს ოპტიმიზაცია?

– ამაზე მეტ ინფორმაციას ამ საკითხზე მე დღეს არ ვფლობ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– ბატონო გია, მე-9 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარის ვინაობის საკითხი თუ განიხილა „ქართულმა ოცნებამ“?

– არა, ეს საკითხი ჯერ არ განხილულა. იმ მაგიდის გარშემო ჯერ არ შევკრებილვართ, სადაც მსგავსი საკითხების განხილვა უნდა მოხდეს. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა არის არჩევნების მეორე ტურის წარმატებით ჩატარება. ეს საკითხი არაფრით უნდა გადაიფაროს. ახლა პირველი რიგის ამოცანა სწორედ მეორე ტურია. მერე, რასაკვირველია, შევიკრიბებით და გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

ჩვენ ჩვენი აზრები გვაქვს, მაგრამ განსხვავებით ნაციონალური მოძრაობისგან, ვისაც რა საპარლამენტო პოზიციაც არ უნდა ერგოს, ეს ჩვენ შორის შიდა დაძაბულობას ნამდვილად არ გამოიწვევს. ამ საკითხზე, სამწუხაროდ, არასწორი ინტერპრეტაციები არსებობს.

– ირაკლი კობახიძისა და თამარ ჩუგოშვილის კანდიდატურები კვლავ აქტუალურია თუ თქვენი კანდიდატურა განიხილება პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე?

– ირაკლი კობახიძემაც და თამარ ჩუგოშვილმაც გააკეთეს განცხადებები ამ საკითხზე.

– თქვენი კანდიდატურა განიხილება?

– არანაირად არ განიხილება, არც ჩემი კანდიდატურა და არც სხვისი არ დასახელებულა.

– ბატონო გია, თავისუფალი დემოკრატების ყოფილი წევრების შეხვედრა თქვენთან მითქმა-მოთქმის საფუძველი გახდა. თითქოს მათ ახალ მთავრობაში შეთავაზებები მიიღეს. მოგვიანებით მათ მეორე ტურში „ქართული ოცნების“ კანდიდატების სასარგებლო მოწოდებები გააკეთეს. ამ შეხვედრაზე რა განიხილეთ?

– არაფერ შუაში არ არის ის შეხვედრა იმ განცხადებასთან, რომელიც მათ მოგვიანებით გააკეთეს. მათ ჯერ კიდევ 2012 წელს ჰქონდათ ჩამოყალიბებული აზრი და არასდროს შეუცვლიათ ეს აზრი, ვგულისხმობ ნაციონალური მოძრაობის მიმართ დამოკიდებულებას, ამ განცხადებაში გასაკვირი არაფერი უნდა იყოს.

– შეხვედრაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– შეხვედრა სპონტანური იყო და არავითარ მოლაპარაკებებს არ ჰქონია ადგილი. განვიხილეთ მიმდინარე პროცესები, შევაფასეთ სიტუაცია, გარკვეულ საკითხებზე ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევა. ეს არ ნიშნავს, რომ თანამდებობების საკითხი განიხილება, რაც თითქოს კონსპირაციას ექვემდებარება. დამერწმუნეთ, საიდუმლო შეხვედრა რომ გვდომოდა, ამის პრობლემა არ გვექნებოდა და ეს შეხვედრა პარლამენტში არ შედგებოდა.

– სამომავლოდ თუ იგეგმება ამ ადამიანებთან თანამშრომლობა?

– მომავალში ვითანამშრომლებთ ნებისმიერ ადამიანთან, პარტიასთან, რომელთაც ჩამოყალიბებული აზრი და სახელმწიფოებრივი ხედვა აქვთ.

– ვიქტორ დოლიძე, ზურაბ აბაშიძე, ის ადამიანები, რომლებმაც დატოვეს თავისუფალი დემოკრატები, სახელმწიფოებრივად უყურებენ პრობლემებს?

– რამდენიმე მაგალითი შემიძლია დავასახელო, როდესაც სწორედ სახელმწიფოებრივი მიდგომა იყო საფუძველი პროგრესისა და პოზიტიური განვითარების, თუნდაც ევროსაპარლამენტო სტრუქტურებთან ურთიერთობაში. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა და დღესაც ხელმძღვანელობს ვიქტორ დოლიძე. არც ერთხელ არ მახსოვს, ჩვენი აქ ოპონირების მიუხედავად, უცხოეთში ნებისმიერ საკითხზე არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულება ჰქონოდა ვიქტორ დოლიძეს და განსხვავებულად ემსჯელა.

– შესაძლებელია, რომ სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამო, ვიქტორ დოლიძემ ევროინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო მინისტრის პოსტი დაიკავოს? ჩვენი ინფორმაციით, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია.

– ასეთი ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა, თქვენი, ჟურნალისტების, ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში წინ უსწრებს მოვლენებს.

– რამდენად ისურვებდით ამას?

– ვისურვებდი, რომ ვიქტორ დოლიძე თავისი გამოცდილებით იყოს იმ რიგებში, სადაც სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხები წყდება. გარკვეული პერიოდის მანძილზე შეიძლება ადამიანი პოლიტიკური ოპონენტი იყოს, მაგრამ სახელმწიფოებრივად მსჯელობდეს, აზროვნებდეს. მე გითხარით, რომ ევროპულ სტრუქტურებთან, კონკრეტულად კი ევროპარლამენტთან, როდესაც ჩვენი ურთიერთობები ყალიბდებოდა, ძალას იკრებდა, საკმაოდ წარმატებული იყო ამ მიმართულებით ვიქტორ დოლიძე. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. წინ არჩევნების მეორე ტურია.

ზაზა თავაძემ 1.000 ლარად მიღებული ბინა 250.000 დოლარად გაყიდა

საკონსტიტუციო სასამართლოს ახალმა თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ ქალაქ ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე 110,50 კვ.მ საცხოვრებელი ბინა, რომელიც მას სახელმწიფოსგან 2010 წლის 25 აგვისტოს სიმბოლურ ფასად – 1.000 ლარად გადაეცა, 2016 წლის 22 აპრილს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, 250.000 აშშ დოლარად გაასხვისა.

კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს საცხოვრებელი ბინა ექსკლუზიურად მისი თანამდებობრივი სტატუსის გამო გადაეცემა.

ზაზა თავაძე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად 2010 წლის 30 მარტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს კვოტით დაინიშნა, უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა 2010 წლის 15 ივნისს, ფიცის დადების დღიდან.

2010 წლის 15 ივნისსა და 2015 წლის 10 ივნისს, იგი ზედიზედ ორჯერ იქნა არჩეული საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და მეორე კოლეგიის თავმჯდომარედ.

2016 წლის 20 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა ზაზა თავაძე ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩია.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შეუქმნას მოღვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობები.

კანონის ამ მოთხოვნის შესრულების მიზნით დამკვიდრებულია წესი, რომლითაც სახელმწიფო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს სიმბოლურ ფასად გადასცემს საცხოვრებელ ბინებს ქალაქ ბათუმში, სადაც აღნიშნული სასამართლო მდებარეობს.

მოსამართლედ განწესებიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ, 2010 წლის 25 აგვისტოს, ზაზა თავაძეს სახელმწიფოსგან სიმბოლურ ფასად, მხოლოდ 1.000 ლარად გადაეცა ქ. ბათუმში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა 1-ში, მე-3 სართულზე მდებარე საცხოვრებელი ბინა, რომლის ფართობიც 110,50 კვ.მ-ს შეადგენს, ასევე მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი – 05.21.03.004.01/005).

ხსენებული ბინა ყოფილ მესაკუთრეს, დიანა აბაშიძეს (იგი ასლან აბაშიძის ქალიშვილია) აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად ჩამოერთვა და 2010 წლის 9 აგვისტოს სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა, 2 კვირის შემდეგ კი ზაზა თავაძეს გადაეცა.

მოსამართლისთვის ქონების გადაცემას საფუძვლად დაედო საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, 2010 წლის 23 აგვისტოს 828 განკარგულება, რომლის საფუძველზეც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გასცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა და ზაზა თავაძესთან ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა.

2011 წლის 21 ივლისს ზაზა თავაძემ „საქართველოს ბანკთან“ 140.000 ლარის ოდენობით იპოთეკური სესხი აიღო, სესხის გადახდის გარანტიის მიზნით კი იპოთეკით სახელმწიფოსგან გადაცემული ბინა დატვირთა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის 2016 წლის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ქ. ბათუმში მდებარე საცხოვრებელი ბინა საერთოდ აღარ არის მითითებული.

საინფორმაციო ცენტრების ქსელმა გამოარკვია, რომ ზაზა თავაძემ აღნიშნული ბინა 2016 წლის 22 აპრილს ქ. თბილისში მცხოვრებ ირმა ირემაძეს 250.000 აშშ დოლარად მიჰყიდა, რაც მის მიერ ამავე ბინისათვის გადახდილ თანხას თითქმის 600-ჯერ აღემატება.

აღნიშნული ფაქტი არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ უფლებამოსილების ვადაშივე, მის ამოწურვამდე 4 წლით ადრე, გაასხვისა სახელმწიფოს მიერ სამსახურებრივი სტატუსის გამო სიმბოლურ ფასად გადაცემული ბინა, რომლის უმთავრესი დანიშნულებაც მოსამართლის მატერიალური უზრუნველყოფა და მისთვის პროფესიული დამოუკიდებლობის რეალური გარანტიების შექმნა წარმოადგენს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის მონაცემების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს ამჟამად ბათუმში საცხოვრებელი ბინა არ გააჩნია. თუმცა, სახელმწიფოს კვლავაც რჩება კანონით განსაზღვრული ვალდებულება, უზრუნველყოს მოსამართლე საქმიანობისა და ცხოვრების სათანადო პირობებით – ხელახლა გადასცეს მას საკუთრებაში სხვა საცხოვრებელი ბინა ქალაქ ბათუმში, ან გადაუხადოს ქირა მოსამართლის მიერ დროებით ნაქირავები ბინის მესაკუთრეს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ზაზა თავაძე რუმინეთში საავადმყოფოში მოხვდა?

საკონსტიტუციო სასამართლოში სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს ახლად არჩეული თავმჯდომარე საზღვარგარეთ ვიზიტისას საავადმყოფოში მოხვდა, არ ადასტურებენ.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრესსამსახურში ნიუპოსტს განუცხადეს, რომ ზაზა თავაძე საზღვარგარეთ ოფიციალური ვიზიტით ნამდვილად იმყოფება. ვიზიტი 26 ოქტომბერს უნდა დასრულებულიყო, თუმცა რამდენიმე დღით გადაიდო.

– გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, – აცხადებენ საკონსტიტუციო სასამართლოს პრესსამსახურში.

საფრანგეთში მცხოვრებმა სულა სულაშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ზაზა თავაძე ალკოჰოლური სასმელის გადაჭარბებული დოზით მიღების გამო საავადმყოფოში მოხვდა.

– აბა ვინ ხართ რუმინეთში?! სასწრაფოდ შველა გვჭირდება! საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ზაზა თავაძე უცხოეთში პირველივე ოფიციალური ვიზიტისას გადაჭარბებული ალკოჰოლური სასმელის გამო ისეთ „თიშშია“, ჰოსპიტალში გადაიყვანეს და გონზე ვერ მოჰყავთ. გვიშველეთ ვინცხამ რაცხა, თორე მოგვეჭრა თავი მთელ დუნიაზე, – წერს სულაშვილი.

ბიძინა გუჯაბიძე: „ეჭვი გვაქვს, რომ ნაცმოძრაობამ ამომრჩევლის მიმართ მოსყიდვა და კომპრომატები გამოიყენა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის წევრ ბიძინა გუჯაბიძეს

– საქართველოს პატრიოტთა ალიანსი აცხადებს, რომ 8 ოქტომბერს არჩევნებში გაყალბების ახალი ფორმულა გამოიყენეს და ამ ფორმულის გამოკვლევა დაიწყება.

– არ მესმის, რატომ გაუჩნდათ ასეთი ეჭვი პატრიოტთა ალიანსში. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ პირველ ადგილზე გავიდოდა „ქართული ოცნება“ და ის მიიღებდა მანდატების დიდ რაოდენობას.

– თქვენ ადრევე ვარაუდობდით, რომ პარლამენტში, მთლიანობაში, „ქართული ოცნება“ 100-ზე მეტ დეპუტატს გაიყვანდა.

– დიახ. ჩემი პროგნოზი გამართლდა. სიმართლე გითხრათ, უფრო უკეთეს შედეგსაც ველოდი. არ მეგონა, თუ ამდენ ოლქში დაინიშნებოდა მეორე ტური. ჩვენ პარტიული სიითაც შეგვეძლო უკეთესი შედეგის მიღწევა, მაგრამ ყველა ამომრჩევლის მობილიზაცია ვერ მოხერხდა. იმედია, მეორე ტურში ამომრჩეველი მივა საარჩევნო უბნებზე და მივაღწევთ საბოლოო გამარჯვებას, რომლის შედეგად „ქართულ ოცნებას“ დაახლოებით 115 დეპუტატი ეყოლება.

– ნაცმოძრაობისა და პატრიოტთა ალიანსის შედეგებზე რისი თქმა შეიძლება?

– პატრიოტთა ალიანსის ასეთი შედეგი მოსალოდნელი იყო. თუ რაიმეს აპროტესტებენ, შეუძლიათ სასამართლოში გაარკვიონ. პატრიოტთა ალიანსის განცხადებები უსაფუძვლოა და კორექტულიც არაა.

ნაციონალური მოძრაობის მიღებულმა პროცენტებმა ბევრი გააკვირვა. ჩვენც მიგვაჩნია, რომ ნაციონალებმა იმაზე მეტი ხმა მიიღეს, ვიდრე მათი რეიტინგია. ამის თაობაზე ეჭვები

„პატრიოტთა ალიანსის განცხადებები უსაფუძვლოა“

გვაქვს და შესაბამის ანალიზსა და კვლევებსაც ჩავატარებთ.

– ფიქრობთ, რომ ნაცმოძრაობამ რაიმე ტექნოლოგიები აამოქმედა?

– ამას არ გამოვრიცხავთ. ჯერ ერთი, არჩევნების შედეგზე იმოქმედებდა ამომრჩევლის მოსყიდვა, ასევე კომპრომატები. ნაციონალურ მოძრაობას არქივები აქვს მოქალაქეების კომპრომატებით. ეს კომპრომატები ადრე არაერთხელ გამოუყენებიათ ადამიანებზე ზემოქმედებისათვის. ახლაც არაა გამორიცხული ამ უზნეო ბერკეტის გამოყენება. იყო კიდევ ერთი ფაქტორი – შიში. 8 ოქტომბრის წინ სააკაშვილმა სხვადასხვა ჩართვის დროს რამდენჯერმე განაცხადა, რომ საქართველოში ჩამოდის. შესაძლოა, ადამიანების გარკვეულ ნაწილზე ამანაც იმოქმედა. განსაკუთრებით, ნაცმოძრაობის ადრინდელ მომხრეებზე.

– ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები აცხადებენ, რომ 8 ოქტომბრის შემდეგ ნაცმოძრაობა ქვეყანაში ერთადერთი პროდასავლური ძალაა.

– ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის მხოლოდ სიტყვით იყო პროდასავლური პარტია. მათი თითქმის ყველა მოქმედება საპირისპიროს ამტკიცებდა. ამას ადასტურებს ახლა მიმდინარე არაერთი გამოძიება..

– რას გულისხმობთ?

– სააკაშვილის მმართველობის დროს ჩადენილ საქმეებს, სისტემურ დანაშაულს. ეს დანაშაულები და მაშინდელი რეჟიმი ყველანაირად ეწინააღმდეგება დასავლურ ღირებულებებს. დასავლეთში თავიდან ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. შორიდან ძნელია მოვლენების შეფასება. ამიტომ, კარგა ხანს დასავლეთში იჯერებდნენ იმას, რასაც მათ ეუბნებოდნენ ნაცმოძრაობის წარმომადგენლები. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ფარდა აეხადა. ჩვენ გავარღვიეთ ყრუ კედელი. ამაში წვლილი შევიტანეთ „კონსერვატორებმაც“. ჩვენ ევროპარლამენტის

„ნაცმოძრაობის ნამდვილი სახე დასავლეთშიც დაინახეს“

კონსერვატორების მრავალრიცხოვან ფრაქციასთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. მისი დელეგაცია აქაც ჩამოდის და საკუთარი თვალით ეცნობა სიტუაციას. აღარავის ეპარება ეჭვი, რომ „ქართული ოცნება“ დასავლური ორიენტაციის ძალაა და ქართულ ინტერესებსაც ატარებს. ამას ვეღარ ეწინააღმდეგებიან ნაციონალური მოძრაობის მეგობრები თუ ლობისტები დასავლეთში. როცა პოლიტიკაში მოდიოდა, ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ არ იქნებოდა ანგარიშსწორება. მართლაც, არანაირი შურისძიება არავისზე არ ყოფილა. ჩვენ არ ვერევით პროკურატურისა და სასამართლოს ფუნქციებში. დემოკრატიული პროცესები დადებითად შეფასდა. 8 ოქტომბრის არჩევნების დემოკრატიულობა აღიარეს უცხოელმა დამკვირვებლებმა. ეს დიდი მიღწევაა.

– ბევრი მიიჩნევს, რომ ნაცმოძრაობის დეპუტატობის არაერთ კანდიდატს კანონთან პრობლემები აქვს და სადეპუტატო იმუნიტეტი სჭირდება. ამიტომ ისევ წამოიწია დეპუტატის იმუნიტეტის გაუქმების თემამ.

– ეს საკითხი განხილვას მოითხოვს. არ მესმის, რისი უნდა ეშინოდეთ ნაციონალური მოძრაობის წევრებს? მათ მიმართ რეპრესიებს არავინ აპირებს. თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, რომელი პარტიიდანაც არ უნდა იყოს დეპუტატი, მან პასუხი უნდა აგოს. პარლამენტი დამნაშავის თავშესაფარი არ არის.

– საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხიც გახდება განხილვის საგანი?

– თუ დღის წესრიგში დადგა, ეს ინიციატივაც განიხილება. ამ ეტაპზე გვაქვს 5%-იანი ბარიერი პარტიებისათვის და 50%-იანი ბარიერი მაჟორიტარობის კანდიდატებისათვის. ამ ნორმებით პარლამენტში მოხვდა 3 პარტია. ჩემი სურვილი იყო, უფრო მეტი ძალა ყოფილიყო წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში. თუ მრავალპარტიულობას წაადგება, შესაძლოა, ბარიერის დაწევაც მოხდეს. ეს სამსჯელო თემაა და ეს საკითხი გადაწყდება ისე, როგორც დემოკრატიისათვის იქნება უკეთესი.

ავარია რუსთაველზე

გუშინ, 26 ოქტომბერს, საღამოს, ავარია მოხდა რუსთაველის გამზირზე.

ერთმანეთს სამი მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა.

მათ შორისაა თურქეთის საელჩოს კუთვნილი ავტომანქანა. მსუბუქად დაზიანდა ჯიპის მარკის ავტომობილი, რომელიც სასულიერო პირს ეკუთვნის. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

როგორც ნიუპოსტს თვითმხილველებმა განუცხადეს, ვასო აბაშიძის ქუჩიდან გამოსულმა ავტომანქანამ თურქეთის საელჩოს კუთვნილ ავტომობილს დაარტყა, ხოლო ამ უკანასკნელმა სასულიერო პირის ავტომანქანა დააზიანა.

ირაკლი ალასანია საქართველოდან მიდის

– ირაკლი ალასანიამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება და ის საცხოვრებლად და სამუშაოდ გადადის ამერიკაში.

ამის შესახებ ჟურნალისტი ინგა გრიგოლია აცხადებს.

როგორც წამყვანმა „დღის ამბებში“ აღნიშნა, მის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, თავისუფალი დემოკრატების ყოფილი ლიდერი არა მხოლოდ პოლიტიკიდან, არამედ საქართველოდანაც მიდის და აშშ-ში გაეროში დასაქმდება.

მის შეკითხვაზე პასუხად თავისუფალი დემოკრატების წევრმა ნინო გოგუაძემ აღნიშნა, რომ ის ჯერჯერობით არ ფლობს ინფორმაციას, რომ ალასანია გაეროში აპირებს მუშაობის გაგრძელებას, თუმცა ადასტურებს, რომ პარტიის ყოფილ ლიდერს აქვს სურვილი, საერთაშორისო ორგანიზაციებში გააგრძელოს მოღვაწეობა.

– ირაკლის არ ჰქონდა არანაირი გეგმები, მისთვის ეს გადაწყვეტილება დაგეგმილი არ ყოფილა. მან თქვა, რომ დიახ, საქართველოში დარჩენას და დასაქმებას არ აპირებს. მას უნდა, რომ თავისი ცოდნა და უნარები მოახმაროს საქართველოს უცხოურ ორგანიზაციებში, შესაძლოა, ეს იყოს გაერო, მაგრამ მე ამის შესახებ ახლა ინფორმაცია არ მაქვს, – აღნიშნა გოგუაძემ..

ალასანია წლების წინ უკვე მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ის 2006-2008 წლებში გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იყო. თუმცა ამჯერად, ინგა გრიგოლიას ინფორმაციით, ალასანია გაეროში დასაქმებას მისი პირადი კონტაქტების წყალობით აპირებს და ის არ იქნება საქართველოდან ოფიციალურად წარგზავნილი.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ 10 ოქტომბერს საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა. ის ამ დრომდე პარტიის თავმჯდომარის პოსტს ინარჩუნებს, მის შემცვლელზე მსჯელობა კი პარტიის ყრილობას მოუწევს.

ალასანიამ ამერიკაში წასვლის თაობაზე გადაწყვეტილება თავისუფალ დემოკრატებში დარჩენილ პირებს უკვე გააცნო.

„თარხან-მოურავის განცხადება ეწინააღმდეგება საქართველოს ოფიციალურ კურსს“

საქართველოს საელჩო აზერბაიჯანში კომენტარს აკეთებს

აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს განცხადებით, საქართველო და აზერბაიჯანი ისტორიულად მოძმე სახელმწიფოები არიან და ამის დადასტურებაა წარსულიც, აწმყოც და მომავლის ერთობლივი გეგმებიც.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის განცხადებას აზერბაიჯანული ტრენდ,აზი აქვეყნებს. გამოცემის ინფორმაციით, აღნიშნული კომენტარი ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის განცხადებების, კერძოდ კი, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის დავით თარხან-მოურავის საპასუხოდ გაკეთდა.

როგორც ტრენდ.აზი წერს, დავით თარხან მოურავმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლების ზედმეტმა ლმობიერებამ შესაძლოა ქვეყანა დაშლის პირას მიიყვანოს, ამ შემთხვევაში კი აზერბაიჯანი მარნეულის რეგიონის მიტაცებას შეეცდება, რომელიც კომპაქტურად არის დასახლებული აზერბაიჯანელებით.

– ორივე სახელმწიფოს ხალხმა საუკუნეების განმავლობაში დაამტკიცა ერთმანეთისადმი მეგობრული დამოკიდებულება, რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობა და შექმნა კავშირები, რომლებიც განმსჭვალულია მულტიკულტურალიზმის პრინციპებით. ამიტომ ნებისმიერი მსგავსი სახის განცხადება, რომელსაც საზოგადოებაში მხარდაჭერა არ აქვს, პოპულიზმის სახეს ატარებს, – განაცხადეს საელჩოში.

დიპლომატიურ წარმომადგენლობაში აღნიშნეს, რომ ნებისმიერი მსგავსი სახის განცხადება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალურ კურსს, რომელიც დაფუძნებულია ქართველი ხალხის მენტალობაზე.

ნიუპოსტი

პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში რჩება

„ვალში არავისთან დავრჩები“

პაატა ბურჭულაძე გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ის არჩევნებში მიღებული დაბალი მხარდაჭერის გამო პოლიტიკიდან და საქართველოდან წასვლას აპირებს, არ ადასტურებს.

შესაბამისი განცხადება „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერმა „იბერიასთან“ საუბრისას გააკეთა.

– არსად წასვლას არ ვაპირებ, ძალიან მსიამოვნებს, სადაც ვარ. ყველაფრის გაკეთება უნდა გავაგრძელოთ. საზღვარგარეთ მხოლოდ საქმეზე თუ წავალ, თორემ ისევ საქართველოში დავბრუნდები. არც პოლიტიკიდან ვაპირებ წასვლას, – აღნიშნა პაატა ბურჭულაძემ.

მისი თქმით, ის პარტიაში რეორგანიზაციას გეგმავს.

– მალე პრესკონფერენცია გვექნება, სადაც ჩვენს სიტყვას ვიტყვით მეორე ტურთან და საერთოდ არჩევნებთან დაკავშირებით... ყველაფერს გავაგრძელებთ, – აღნიშნა მსოფლიო ბანმა.

რაც შეეხება კიდევ ერთ სკანდალს, რომელიც თანამშრომლების მიმართ ფინანსურ დავალიანებას შეეხება, ბურჭულაძე ამბობს, რომ „ვალში არავისთან დარჩება“ და დავალიანებას დაფარავს.

ნიუპოსტი

გიორგი რუხაძე: „ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას არ იმსახურებს“

ექსპერტმა გიორგი რუხაძემ პირველის პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე არჩევნების მეორე ტურზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საზოგადოებამ ხმა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ უნდა მისცეს, მიუხედავად იმისა, რომელი პოლიტიკური პარტია იქნება მისი ოპონენტი.

– პროპორციულ შედეგებს თუ შევხედავთ, პოლიტიკური პარტია, რომელმაც მოსახლეობის 48%-ის მხარდაჭერა მოიპოვა, არ იმსახურებს საკონსტიტუციო უმრავლესობას და აბსოლუტურ ძალაუფლებას. შესაბამისად, მოსახლეობამ ხმა უნდა მისცეს არა იმის მიხედვით, რომელი პარტია არის კარგი, არამედ სამართლიანობის პრინციპი დაიცვან. ისტორიამ გვაჩვენა, რომ აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის, – განაცხადა გიორგი რუხაძემ.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ნაციონალურმა მოძრაობამ სწორედ მაშინ დაუშვა ყველაზე დიდი შეცდომა, როდესაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს, აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა.

საქართველო მოწინავე 10 ქვეყანას შორისაა, რომლებმაც ბიზნესის წარმოების რეიტინგში საკუთარი მაჩვენებლები გლობალური მასშტაბით გააუმჯობესეს

ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საქართველო მესამე ადგილზეა უმაღლესი რეიტინგის მქონე ქვეყნებს შორის.

საქართველოს წლევანდელი წარმატება განაპირობა ქვეყნის მთავრობის კოორდინირებულმა და ეფექტიანმა მუშაობამ. მხოლოდ ბოლო ერთ წელიწადში რეიტინგის მიზნებისთვის აღიარებული 5 რეფორმით საქართველო მსოფლიოში 190 ქვეყანას შორის 10 ტოპ-რეფორმატორი ქვეყანაა.

წინა წელთან შედარებით, 2017 წელს საქართველომ გადაასწრო ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა გერმანია (მე-17 ადგილი), ირლანდია (მე-18 ადგილი), ავსტრია (მე-19 ადგილი), ისლანდია (მე-20 ადგილი), ლიტვა (21-ე ადგილი), კანადა (22-ე ადგილი), მალაიზია (23-ე ადგილი), პოლონეთი (24), პორტუგალია (25), ჩეხეთის რესპუბლიკა (27), ნიდერლანდები (28), საფრანგეთი (29), სლოვენია (30), შვეიცარია (31), ესპანეთი (32), სლოვაკეთი (33), იაპონია (34), ყაზახეთი (35), რუმინეთი (36), ბელარუსი (37), სომხეთი (38), ბულგარეთი (39), რუსეთი (40), უნგრეთი (41), ბელგია (42), ხორვატია (43), მოლდოვა (44), სერბეთი (47), იტალია (50), მონტენეგრო (51), ისრაელი (52), აზერბაიჯანი (65), თურქეთი (69), უკრაინა (80) და სხვა.

საქართველო გაუმჯობესებული 5 ინდიკატორის მიხედვით მსოფლიო მასშტაბით 190 ქვეყანას შორის პირველ ათეულში შედის.

ეს ინდიკატორებია: ქონების რეგისტრაცია (მე-3 ადგილი), კრედიტის მიღება (მე-7 ადგილი), მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა (მე-7 ადგილი), ბიზნესის დაწყება (მე-8 ადგილი) და მშენებლობის ნებართვა (მე-8 ადგილი).

2017 წლის რეიტინგში საქართველოს მნიშვნელოვანი წარმატება და საერთაშორისო აღიარება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგია.

◆ ◆ ◆

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის წარმოების“ რეიტინგი უნიკალურია იმით, რომ ის ემყარება მხოლოდ ობიექტურ და ყოველმხრივ გადამოწმებულ მონაცემებს და ზუსტად ასახავს, თუ რას აკეთებს მთავრობა იმისთვის, რომ ბიზნესს მუშაობა გაუადვილოს.

ჩვენი ეფექტიანი მუშაობა, რამაც ბიზნესგარემოს გაუმჯობესება გამოიწვია, იმის მტკიცებულებაა, რომ მსოფლიო ბანკმა საქართველო კიდევ ერთხელ აღიარა, როგორც ბიზნესის ხელშემწყობი ქვეყანა და რომ ჩვენ გავატარეთ ისეთი რეფორმები, რომლებიც კერძო სექტორს საშუალებას აძლევს, რომ უმოკლეს ვადებსა და დაბალი დანახარჯებით, დაიწყონ და განავითარონ ბიზნესი.

მსოფლიო ბანკის 2017 წლის რეიტინგი პოზიტიურად აფასებს საქართველოში ქონების რეგისტრაციის მხრივ გატარებულ რეფორმებს და მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის საქართველო კვლავაც პირველ სამეულშია, როგორც ქვეყანა, სადაც ყველაზე ეფექტიანად ხორციელდება ქონების რეგისტრაცია და დაცულია საკუთრების უფლება.

საქართველომ გააძლიერა მცირე ინვესტორების დაცვა აქციონერთა უფლებების და როლის გაზრდით ძირითადი კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებაში და მფლობელობის და მაკონტროლებელი სტრუქტურების მკაფიოდ განსაზღვრით.

საქართველო ინვესტიციებისთვის მიმზიდველი ქვეყანაა.

2016 წლის პირველ ნახევარში, ბოლო 8 წლის განმავლობაში, უცხოური ინვესტიციების მოცულობამ უპრეცედენტო ნიშნულს მიაღწია და 833.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 10,6%-ით მეტია 2015 წლის ექვსი თვის მონაცემზე.

ახალი ინვესტიციები ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის და შესაბამისად, ამცირებს უმუშევრობას. 2015 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე რეკორდულად მცირე ნიშნულზე – 12 პროცენტზე დაფიქსირდა. ამავე პერიოდში, სამუშაო ადგილების რაოდენობა 5.9 პროცენტით (34,592) გაიზარდა.

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, 7-საფეხურიანი ნახტომი მსოფლიო ბანკის რეიტინგში მნიშვნელოვანი იქნება ნებისმიერი ინვესტორისთვის.

ამის შესახებ კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შეფასებისას განუცხადა.

– მსოფლიო ბანკის რეიტინგში ძალიან კარგი, მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ფაქტობრივად, შვიდი საფეხურით აიწია საქართველომ, 23-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე ბიზნესის კეთების მსოფლიო რეიტინგში.

ეს არის მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება, ვინაიდან საქართველო შედის წამყვან ქვეყნებში და 7-საფეხურიანი ცვლილება ერთი წლის განმავლობაში არის მნიშვნელოვანი, დადებითი ნახტომი ამ მიმართულებით, ამიტომ ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იქნება ნებისმიერი ინვესტორისათვის, რომელიც ფიქრობს საქართველოში ინვესტირებას, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

დიმიტრი ქუმსიშვილი:

– ჩვენ შარშანდელი მონაცემები ერთბაშად 7 ადგილით გავაუმჯობესეთ და შესაბამისად, საქართველო მე-16 ადგილს იკავებს, რაც ძალიან სასიხარულო ამბავია. ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საქართველო მესამე ადგილზეა უმაღლესი რეიტინგის მქონე ქვეყნებს შორის, მაკედონიისა და ლატვიის შემდეგ. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საქართველო იმ მოწინავე 10 ქვეყანას შორისაა, რომლებმაც საკუთარი მაჩვენებლები გლობალური მასშტაბით მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს.

2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო დასახელებულია, როგორც რეგიონის ლიდერი ქვეყანა განხორციელებული რეფორმების კუთხით.

საქართველოს წლევანდელი წარმატება განაპირობა ქვეყნის მთავრობის კოორდინირებულმა და ეფექტიანმა მუშაობამ. მხოლოდ ბოლო ერთ წელიწადში რეიტინგის მიზნებისთვის აღიარებული 5 რეფორმით საქართველო მსოფლიოში 190 ქვეყანას შორის კვლავ 10 ტოპ-რეფორმატორთა შორისაა.

◆ ◆ ◆

მსოფლიოს ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში **მერსი ტემბონი** ამბობს, რომ მომავალ წელს საქართველო მეტ წარმატებას მიაღწევს.

– ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ საქართველო მოწინავე 10 ქვეყანას შორისაა, რომლებმაც ბიზნესის წარმოების რეიტინგში საკუთარი მაჩვენებლები გლობალური მასშტაბით გააუმჯობესეს. ეს ინდიკატორები: ქონების რეგისტრაცია (მე-3 ადგილი), კრედიტის მიღება (მე-7 ადგილი), მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა (მე-7 ადგილი), ბიზნესის დაწყება (მე-8 ადგილი) და მშენებლობის ნებართვა (მე-8 ადგილი).

საქართველო ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში მე-3 პოზიციაზე იმყოფება და 10-დან 8 ინდიკატორში ტოპ ხუთეულში, ხოლო მშენებლობის ნებართვის გაცემის ინდიკატორში პირველ ადგილზეა, საქართველოს მსგავსი ეროვნული შემოსავლის მქონე 51 ქვეყანას შორის მე-2 ადგილზეა, ხოლო მშენებლობის და ქონების რეგისტრაციის ინდიკატორების მიხედვით – პირველ ადგილზე.

◆ ◆ ◆

ექსპერტ **ლევან კალანდაძის** თქმით, განსაკუთრებული აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ მსოფლიო ბანკის კვლევაში, საქართველოს პოზიციები შვიდი პოზიციით გაუმჯობესდა.

– ამასთან, 2017 წლის ანგარიშში, საქართველო დასახელებულია რეგიონში რეფორმების განხორციელების კუთხით ლიდერ ქვეყანად და ამავდროულად, საქართველო მოხვდა მსოფლიოს ტოპ რეფორმატორი ქვეყნების ათეულში, რაც უდაოდ ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

ექსპერტის თქმით, მსოფლიო ბანკის ამ ბოლო კვლევის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, დღეს უკვე საუკეთესო პოზიციები გვაქვს მსოფლიოს ორ ყველაზე მნიშვნელოვან და გავლენიან რეიტინგებში.

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველოს საუკეთესო პოზიცია აქვს და ამ მხრივ უპირობო ლიდერია.

საქართველო დიდი უპირატესობით უსწრებს სომხეთს (38-ე ადგილი), რუსეთს (მე-40 ადგილი), აზერბაიჯანს (65-ე ადგილი), თურქეთს (69-ე ადგილი) და უკრაინას (მე-80 ადგილი).

რატომ არის მნიშვნელოვანი ამ და სხვა მსგავსი მაჩვენებლების გაუმჯობესება?

ამ საკითხს ექსპერტი რამდენიმე რამდენიმე გარემობით ხსნის.

– პირველი – „მსოფლიო ბანკის კვლევა და სხვა მსგავსი კვლევებისა და რეიტინგების ანალიზი, საშუალებას გვაძლევს, სწორად შევაფასოთ ქვეყნის განვითარების და სახელმწიფოს მიერ არჩეული ძირითადი პრიორიტეტების ეფექტიანობა და დავაკვირდეთ იმ ტენდენციას, რაც ქვეყანაში დაგეგმილი და განხორციელებული რეფორმების საერთაშორისო გლობალურ ბაზრებზე გაზიარებასა თუ მოწონებას იმსახურებს და, საჭიროების შემთხვევაში, დროულად მოვახდინოთ ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკისა თუ პრიორიტეტების კორექტირება და ეფექტიანობის ზრდა.

მეორე – აღნიშული კვლევები არის ერთ-ერთი პირველი რიგის „სახელმძღვანელო“ საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიებისა და დონორი ორგანიზაციებისთვის. ამა თუ იმ ქვეყნის მოწინავე პოზიცია საერთაშორისო რეიტინგებსა და კვლევებში წარმოადგენს მართალია არა საკმარის, მაგრამ აუცილებელ პირობას ამ ქვეყანაში ინვესტორის მიერ მსხვილი, გრძელვადიანი საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებაზე გადაწყვერილების მისაღებად.

ეკონომიკის ექსპერტი **ემზარ ჯგერენაია** ამბობს, რომ მომხდარი ქვეყანაში გატარებულმა რეფორმებმა განაპირობა.

– საქართველოში გატარებულმა რეფორმებმა მოგვცა იმის საშუალება, რომ ნებისმიერ კომპანიას შეუძლია დროულად დააარსოს კომპანია, დროულად განახორციელოს რეგისტრაცია ნებისმიერი დოკუმენტის, მიიღოს მშნებლობის ნებართვა და ბიზნესმენები მოვიზიდოთ, – განაცხადა ემზარ ჯგერენაიამ.

კომუნალურ გადასახადებზე ბანკების საკომისიო ძალიან მაღალია

საქართველოში კომუნალურ გადასახადებზე დაწესებული საკომისიო საკმაოდ მაღალია. მიუხედავად მოსახლეობის პროტესტისა და მათ შორის, ყოფილი დეპუტატების მკვეთრი განცხადებისა, საკომისიო არც ერთ ბანკს არ შეუმცირებია.

პრობლემას ვერ მოერია ეროვნული ბანკის ვერც ძველი მმართველი და, როგორც ჩანს, საკითხის გადაწყვეტას არც სებ-ის ახალი ხელისუფლება ცდილობს. არადა, ეროვნულ ბანკს სულ მარტივად, ნორმატიული აქტის გამოცემის საფუძველზე შეუძლია საკომისიოების ტარიფის დარეგულირება.

საერთოდ, კომერციულ ბანკში ან ბანკის მეშვეობით ნებისმიერი ოპერაციის განხორციელება ფული ღირს. მომხმარებელი საკომისიოს იხდის მაშინ, როდესაც სესხს იღებს და მაშინაც, როცა კომუნალურ გადასახადს იხდის. შესაბამისად, კომერციული ბანკები საკომისიოდან მიღებული გადასახადით საკმაოდ სოლიდურ მოგებას ნახულობენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, კომერციულმა ბანკებმა 2016 წლის 9 თვეში „საკომისიოები და შემოსავლები სხვა გაწეული მომსახურებიდან“ 224.538.000 ლარი მიიღეს, სადაც საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი კომუნალურ გადასახადებზე დაწესებულ საკომისიოებზე მოდის.

◆ ◆ ◆

სწორედ კომუნალურ გადასახადებზე დაწესებული საკომისიოების ოდენობა იყო წლების წინ საზოგადოების აღშფოთების საგანი. ეს საკითხი პარლამენტის ტრიბუნიდანაც გააკრიტიკეს და ეროვნულ ბანკს ამ მიმართულებით ქმედითი ბანიჯების გადადგმისკენ მოუწოდეს.

იმ პერიოდში სები ბანკების ხელმძღვანელ პირებს დეპუტატებთან ერთად შეხვდა, სადაც კომუნალურებზე დაწესებული საკომისიოების შესაძლო მოხსნის თემა განიხილეს. თუმცა ეს თხოვნა თუ მითითება მაშინ მხოლოდ ერთმა კომერციულმა ბანკმა გაითვალისწინა და რამდენიმე ფილიალში კომუნალურზე საკომისიოს გადახდა გააუქმა, თუმცა ეს მხოლოდ დროებითი ღონისძიება აღმოჩნდა და დღეს, ისევე როგორც სხვა ბანკებშიც, იქაც გადასახადს საკომისიოს გარეშე ვერ გადაიხდი.

მართალია, კომერციულ ბანკში ნებისმიერი მომსახურება ფასიანია, თუმცა კომუნალურებზე დაწესებული საკომისიოს ოდენობა მართლაც მაღალია.

ერთ ოჯახს თვის განმავლობაში საკომისიოს სახით საშუალო 3-5 ლარით ზედმეტი თანხის გადახდა უწევს, რაც ცოტა ნამდვილად არ არის, მით უფრო, სოციალურად დაუცველებისთვის. თუმცა სოციალურად დაუცველებს რომ თავი დავანებოთ, ამ ოდენობით საკომისიოს გადახდა არც მოსახლეობის სხვა კატეგორიისთვისაა მისაღები. თუმცა, როგორც ჩანს, ამ პრობლემის მოგვარებას არავინ აპირებს.

◆ ◆ ◆

კომერციული ბანკებს სხვადასხვა კომუნალურ გადასახდელზე სხვადასხვა ტარიფი აქვს დაწესებული.

საშუალოდ, ყველა ოპერაცია 50 თეთრი ღირს. ზოგი ბანკი მომსახურებას მომხმარებელს „უფასოდ“ სთავაზობს, თუმცა ბოლო პერიოდში „უფასო“ ოპერაციების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითად, თუ რამდენიმე თვის წინ „საქართველოს ბანკის“ სწრაფი გადახდის აპარატიდან ფიქსირებული ტელეფონისა და ინტერნეტის თანხას ყოველგვარი საკომისიოს გარეშე იხდიდი, ახლა 50-თეთრიანი საკომისიოა დაწესებული. „საქართველოს ბანკის“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან უფასოდ მობილურის შევსება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ჩარიცხვა ბანკის ბარათიდან ხდება.

სპეციალისტები ამბობენ, რომ სებ-ის სურვილის შემთხვევაში, ყველა მათგანის შემცირება შესაძლებელია. მათივე გათვლებით, ზოგადად კომუნალურ გადასახადებზე დაწესებული საკომისიო 30 თეთრზე მეტი არ უნდა ღირდეს, ხოლო ინტერნეტ-ბანკით განხორციელებული ოპერაციებზე 5 თეთრს არ აღემატებოდეს.

საბანკო სფეროს სპეციალისტი დავით წიქარიძე ამბობს, რომ ბანკი კომერციული სტრუქტურაა და მისი გადასაწყვეტია, ამა თუ იმ მომსახურებაზე რა რაოდენობით საკომისიოს დააწესებს. მისი თქმით, პრობლემას კომუნალურ გადასახდელებზე დაწესებული საკომისიოების ოდენობა წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ მაღალია.

– კომუნალურ მომსახურებაზე რაღაც ოდენობის გადასახადი უნდა იყოს, მაგრამ ის, რაც ახლაა დაწესებული, ძალიან ბევრია. როგორ შეიძლება ადამიანი ტელეფონზე რიცხავდეს 5 ლარს და ზემოდან კიდევ 50 თეთრს იხდიდეს საკომისიოს. ეს არ ეხება მხოლოდ ტელეფონზე ანგარიშის შევსებას, ეს ეხება ყველა კომუნალურ გადასახადს, რომელიც, საერთო ჯამში, ძალიან ბევრია.

მახსოვს, როდესაც „საქართველოს ბანკმა“ თქვა, ჩემი მომენტალური გადახდის აპარატებიდან მობილურზე გადასახადი უფასო იქნებაო, მაშინ ბაზრის სხვა მოთამაშეებში ამან სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. ახლა „საქართველო ბანკმაც“ დააწესა საკომისიო, – განაცხადა „კომერსანტთან“ საუბრისას წიქარიძემ.

მისივე თქმით, კომუნალურებზე დაწესებული საკომისიოების საკითხი როგორც მთავრობის, ასევე ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სამსახურის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოქცეული.

– აუცილებელია, მოხდეს იმის გაანალიზება, თუ რა თანხას იღებენ ბანკები ამ გადასახდელებზე დაწესებული საკომისიოებიდან. საკომისიოების ოდენობა მაღალია და ეს საკითხი სახელმწიფომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოაგვაროს. კომუნალურ გადასახადებზე დაწესებული საკომისიო აუცილებლად უნდა შემცირდეს, ეს ხალხის „წაგლეჯვაა“, – განაცხადა წიქარიძემ.

◆ ◆ ◆

საბანკო სფეროს სპეციალისტი ლია ელიავა ამბობს, რომ კომუნალურ გადასახადზე დაწესებული მაღალი საკომისიოები კომერციული ბანკების და მომსახურების მომწოდებელი კომპანიებს შორის გარიგების პრობლემაა, რასაც ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა უნდა მიხედოს.

– ეროვნულ ბანკს შეუძლია მიიღოს ნორმატიული აქტი, სადაც აღნიშნული იქნება, რომ კომუნალურ გადასახადებზე საკომისიოები დაწესდეს არაუმეტეს 5-10 თეთრისა. ამის გაკეთება ეროვნულ ბანკს შეუძლია. თუ ზედამხედველი ხარ და გაგაჩნია კანონით ყველა უფლება, საბანკო სექტორს გაუწიო ზედამხედველობა, კეთილი ინებე და გამოეცი ნორმატიული აქტი, რომელიც სავალდებულო იქნება შესასრულებლად ყველა კომერციული ბანკისთვის, – აცხადებს ელიავა.

მისი თქმით, ინტერნეტით განხორციელებულ გადახდებზე საკომისიო არაუმეტეს 5 თეთრი უნდა იყოს, ხოლო ბანკში ოპერატორთან გადახდის შემთხვევაში კი – 15-20 თეთრი.

– ამაზე მეტი საკომისიო არ უნდა იყოს, – განუცხადა კომერსანტს ელიავამ.

კომერსანტ-გე

ლევან კალანდაძე: „წლის ბოლომდე ლარის გამყარების მოლოდინი არ მაქვს“

– ლარის კურსის გამყარების მოლოდინი წლის ბოლომდე არ მაქვს, თუმცა სტაბილურობის შენარჩუნების მოლოდინი ნამდვილად მაქვს.

ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძემ განაცხადა.

როგორც კალანდაძემ აღნიშნა, ლარი დღეისათვის ინარჩუნებს წონასწორობას, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს, თუმცა მოსალოდნელი არ არის მისი გამყარება ან გაუფასურება.

როგორც ლევან კალანდაძემ აღნიშნა, ზამთრის სეზონი ლარის კურსთან მიმართებაში გარკვეულ რისკ ფაქტორებს ატარებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ზამთრის სეზონი შეიძლება ორად გაიყოს.

– ლარის კურსთან დაკავშირებით გარკვეული რისკ ფაქტორია ზამთარი, თუმცა ზამთრის სეზონი ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ. პირველი არის ნოემბრის თვე, რომელიც ხასიათდება ლარზე გარკვეული რისკების გაძლიერებით. მხედველობაში მაქვს ის, რომ იმპორტიორები წინასაახალწლოდ თადარიგს იჭერენ სასაქონლო საკითხის თვალსაზრისით. შესაბამისად, არის რისკი, რომ იმპორტიორების რისკი დოლარზე გაიზარდოს, – განაცხადა ლევან კალანდაძემ.

მისი აზრით, მეორე თემა დაკავშირებული არის დეკემბრის თვესთან.

– ამ თვეში პირიქით ხდება და მოთხოვნა იზრდება ლარზე. ნახტომისებური შოკის მქონე ცვლილებებს არ ველოდები. ლარი უბრალოდ ინარჩუნებს წონასწორობის კურსს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს. მოლოდინი, რომ კურსი უცვლელი იყოს, არ უნდა გვქონდეს. გამყარების მოლოდინი წლის ბოლომდე არ მაქვს, თუმცა სტაბილურობის შენარჩუნების მოლოდინი მაქვს, – აღნიშნა ექსპერტმა კალანდაძემ.

ბიბიენი

ლარი გაუფასურდა

1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4080 ლარი გახდა.

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4080 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.3888 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0192 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.6303 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.5983 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0320 ლარი შეადგინა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

კობა გვენეტაძემ სავალუტო ინტერვენციების მიზეზები განმარტა

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ სებ-ის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული სავალუტო ინტერვენციების მიზეზები განმარტა.

როგორც კობა გვენეტაძემ გუშინ, 26 ოქტომბერს, გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, ეროვნული ბანკის სტრატეგიის მიხედვით, სებ-ს აქვს ზუსტად ის მანდატი, რომ მაშინ, როდესაც ფუნდამენტური ფაქტორები და ეროვნული ბანკის რეზერვები ამის საშუალებას იძლევა, განახორციელოს ინტერვენციები და შეამციროს ერთჯერადი ფაქტორებით გამოწვეული დიდი მერყეობები.

გვენეტაძის თქმით, იყო რამდენიმე ერთჯერადი ფაქტორი და ამ კონტექსტში სებ-ის პრეზიდენტმა ერთერთად თიბისისა და ბანკი რესპუბლიკის გარიგების ფაქტი დაასახელა.

– ამავე დროს, იყო სხვა ერთჯერადი გარიგებებიც და გარდა ამისა, იყო მოლოდინი არჩევნებისადმი. გარკვეულწილად არჩევნები ქვეყნის ეკონომიკისათვის ერთჯერადი შოკია. აქედან გამომდინარე, ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება, ეს ინტერვენციები განეხორციელებინა, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

მისი თქმით, ეს პირველად არ მომხდარა და ძალიან ხშირად გაკეთებულა ასეთი რამე.

– 2010 წელს, 2011 წელს, 2012 წელს, 2013 წელს ზუსტად ერთჯერადი ფაქტორებით გამოწვეული ასეთი მკვეთრი ნახტომისებური ცვლილებების შესარბილებლად ეროვნულმა ბანკმა განახორციელა ინტერვენციები და ზუსტად ასეთ მოვლენებთან გვქონდა საქმე ამ ბოლო პერიოდში, – განაცხადა გვენეტაძემ.

მისივე თქმით, თუ მომავალშიც იქნება ამის საჭიროება, ეროვნული ბანკი ინტერვენციებს განახორციელებს.

– თუ ფუნდამენტურმა ფაქტორებმა მოგვცა ამის საშუალება და თუ იქნება ამის საჭიროება, რა თქმა უნდა, განვახორციელებ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ მომენტში, როდესაც კურსის მერყეობა იქნება, ჩვენ ამას გავაკეთებთ. ანუ ეს ადრეც მომხდარა, ეს ახლაც გაკეთდა და მომავალშიც შესაძლებელია, რომ მოხდეს, – აღნიშნა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

ბიბიენი

კომერციული მოსყიდვის ფაქტზე „ჯორჯიან მანგანეზის“ იურისტი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, კომერციული მოსყიდვის ფაქტზე შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ იურისტი, მირიან ბიჭიკაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იუწყება, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ სანებართვო და სალიცენზიო პირობების დარღვევით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ფაქტზე, რითაც გარემოს მიადგა 350 მილიონ ლარზე მეტი ზიანი, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით პასუხისგებაში მიცემულ იქნა იურიდიული პირი შპს „ჯორჯიან მანგანეზი“.

– აღნიშნულ საქმეზე მიმდინარე სასამართლო განხილვის პროცესში, შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ, დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენისა და გარემოზე მიყენებული ზიანის განსაზღვრის მიზნით, სსიპ „გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტთან“ გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, საექსპერტო ჯგუფის წევრებთან უშუალო ურთიერთობა დაევალა შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ იურისტს, მირიან ბიჭიკაშვილს.

ბრალდებულმა, ექსპერტიზის მიმდინარეობის პროცესში, საექსპერტო დასკვნაში მათთვის სასურველი, ყალბი მონაცემების დაფიქსირების მიზნით, კომერციული მოსყიდვის გზით ექსპერტიზის განმახორციელებელ პირს გადასცა გარკვეული ოდენობის თანხა, – აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

საქმეზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის პირველი ნაწილით გრძელდება, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით ითვალისწინებს.

ბიბიენი

კრწანისის ცენტრი: ინციდენტი მოხდა ღამის 4-ის ნახევარზე, დაღუპულის ცხედარი აღმოჩენილია 8-ის ნახევარზე

გულიკო ბალაძე

კრწანისის სამხედრო-სასწავლო ცენტრში მომხდარ ფაქტს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია აანალიზებს.

– ბატონო ვახტანგ, როგორ აფასებთ ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების კრწანისის ცენტრში მომხდარ ფაქტს?

– მინდა მივუსამძიმრო დაღუპულის ოჯახს. ტრაგედიაა, როცა ახალგაზრდა ასეთ ვითარებაში იღუპება. გამოძიება მიმდინარეობს. ასეთი ფაქტი მოითხოვს ძალიან სკრუპულოზურ გამოკვლევას. ამიტომ ამ ეტაპზე ვერსიებიც არ იქნება გამოკვეთილი. თავდაცვის მინისტრმა პოლიტიკური შეფასება მისცა, მაგრამ საგამოძიებო ორგანოს რაიმე წინასწარი შეფასება არ გაუკეთებია.

– გავრცელებული ინფორმაციების საფუძველზე რა შეიძლება ითქვას?

– სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციები ვრცელდება. თუმცა, ერთი ფაქტი იკვეთება – ინციდენტი მოხდა ღამის 4-ის ნახევარზე, ხოლო დაღუპულის ცხედარი აღმოჩენილია 8-ის ნახევარზე, დაცული ობიექტიდან 100 მეტრის რადიუსში. ჩემს გაკვირვებას იწვევს ის, თუ რატომ ვერ მოხერხდა 4 საათის განმავლობაში ცხედრის აღმოჩენა, რატომ არ მოხდა ოპერატიული ჯგუფის რეაგირება, რატომ არ მოხდა პერიმეტრის დეტალური დათვალიერება მას შემდეგ, რაც გუშაგმა მოახდინა გასროლა ჯერ ჰაერში, გამაფრთხილებელი, შემდეგ, სავარაუდოდ, ცეცხლი გახსნა თავდამსხმელების მიმართულებით. ეს კითხვებს იწვევს, რადგან ეს ეხება შეიარაღებულ ძალებს.

არ არის დადგენილი, ახალგაზრდა რით არის გარდაცვლილი, ან როგორ არის გარდაცვლილი. ზოგი ამბობს, უკნიდან არის ნასროლიო, ზოგი ამბობს, წინიდან არის ნასროლიო. ეს გაურკვეველია.

ასევე ითქვა, მოკლულს იარაღი ჰქონდაო. საინტერესოა, ნაპოვნია თუ არა ის იარაღი.

– მგონი, სხვა ვერსიაც იყო.

– დიახ, ითქვა, რომ თურმე იქ მოხდა ცეცხლგამშვები პიკარბის გასროლა გუშაგის მიმართ. შევიდნენ თუ არა ობიექტზე, ეეჭვ გასარკვევია. ზოგი ამბობს, შევიდნენო, ზოგი ამბობს, უნდოდათ გადასვლაო. ძალიან ბევრი ვერსიაა, მაგრამ მთავარია, რატომ იპოვეს ცხედარი გვიან და რატომ მოხდა ცხედრის იდენტიფიცირება ადრე.

– თავდასხმა იყოო, როცა ამბობენ, შესვლა-არშესვლაზე საუბარი რას ნიშნავს?

– თავდასხმა იყო, თუ მკაცრ ობიექტზე გადასვლას ჰქონდა ადგილი, გაურკვეველია. ცხედარი საკმაოდ ახლოს იყო.

– შეიძლება ვიფიქროთ, რომ სათანადო ორგანოებს დროზე არ აცნობეს?

– ყოველ შემთხვევაში, პერიმეტრის დროული დათვალიერება რომ არ ჩატარდა, ეს ცხადია. ან შეიძლება გუშაგმა გაისროლა, თავდამსხმელები გაიფანტნენ და ამიტომ არ მიაქციეს ყურადღება. როგორც ჩანს, შემდეგ, როცა გათენდა, არეალი გამოჩნდა 8-ის ნახევარზე, ცხედარი იპოვეს. ესეც არის დარღვევა.

სულ ცოტა, ორი გასროლა მაინც იყო. ერთი ჰაერში და მეორე – ობიექტის მიმართ უშუალო დამიზნებით. ამ შემთხვევაში სულ მცირე პერიმეტრის დეტალური შესწავლა უნდა მომხდარიყო. ჯგუფი უნდა გასულიყო, დაეთვალიერებინა პერიმეტრი და დაწყებულიყო საძიებო სამუშაოები.

– ისეთ მკაცრ ობიექტზე, როგორიც არის ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრი, განათება არ იყო, რად უნდოდა გათენებისთვის დალოდება?

– იქნებოდა, მაგრამ საკმაოდ დიდი პერიმეტრია, დიდი ცენტრია. დაღუპულის ძმაც მსახურობდა ამ ნაწილში და შეიძლება უნდოდა გადასულიყო. არ გამოვრიცხავ, თვითმივლინებაში იყო. თვითნებურად დატოვა სამხედრო ნაწილი და შემდეგ უკან ბრუნდებოდა. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია ყველა არმიაში. საბჭოთა არმიაშიც ხშირად ჰქონდა ასეთ შემთხვევებს ადგილი. გამოცხადებულია, რომ სამხედრო 10 საათზე უნდა დაწვეს. არ წვება, თვითნებურად გადის და მერე ბრუნდება.

– შესულ ჯგუფთან ერთად დაღუპულის ძმა იყო?

– არ ვიცი. ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ერთ-ერთი მათი მეგობარი მსახურობდა სამხედრო ნაწილში, მიაცილეს და უნდა შესულიყო შიგ. ეს ყველაფერი ვარაუდია. სიმართლეს გამოძიება დაადგენს. ფაქტია, რომ შემზარავი ტრაგედია მოხდა. მე ამას ვუკავშირებ სოციალურ ფაქტორს.

– ანუ პოლიტიკას არ უკავშირებთ?

– რა თქმა უნდა, პოლიტიკას არ ვუკავშირებ. ზოგიერთებმა ნავთლუღის სპეცოპერაციას შეადარეს.

– რით ჰგავს?

– არაფრით. ნავთლუღის სპეცოპერაცია განახორციელეს მიხეილ სააკაშვილის სიკვდილის ესკადრონებმა და მიზანმიმართულად ჩახოცეს ბიჭები.

– ნავთლუღის სპეცოპერაციაში ხომ ხელმძღვანელობა მონაწილეობდა? მინისტრი და მისი ქვეშევრდომები.

– დიახ, მონაწილეობდა გიორგი გაგლოშვილი, მკვლელი, ყაჩაღი და ძმები ახალაიები. მათ უშუალოდ მოახდინეს იმ სამი ახალგაზრდის ლიკვიდაცია. ეს აბსოლუტურად ორი განსხვავებული ფაქტია.

– ვინც გაისროლა, იმის ვინაობა ცნობილია?

– არ ვიცი, არ ახმოვანებენ. ყოველ შემთხვევაში, მას კანონით ჰქონდათ განსაზღვრული, ემოქმედა დაცვის ობიექტის საგუშაგო წესების 112-ე, 144-ე მუხლების მიხედვით. 112-ე მუხლით რეგულირდება გუშაგის ყველა დეტალი და ნიუანსი განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ვახტანგ მაისაია: „სულ ცოტა, ორი გასროლა მაინც იყო. ერთი ჰაერში და მეორე – ობიექტის მიმართ უშუალო დამიზნების გამო"

– თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ გუშაგი მოქმედებდა წესდების შესაბამისად.

– როგორც ჩანს, მინისტრს მიაწოდეს ინფორმაცია და გააკეთა კომენტარი პირველადი ინფორმაციების საფუძველზე. რა როგორ მოხდა, გამოძიება დაადგენს. უნდა მოხდეს იარაღის ბალისტიკური შემოწმება, უნდა დადგინდეს, ვისი იარაღიდან მოხდა პირველი გასროლა ჰაერში, მეორე გასროლა დამიზნებით. უნდა დადგინდეს გასროლის ტრაექტორია. რა ტრაექტორიით მოხდა გასროლა. უნდა ჩატარდეს გვამის ექსჰუმაცია, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, დადგინდეს, რა ვითარებაში დადგა სიკვდილი, როგორ განვითარდა მოვლენები.

ყველაფერი ეს მოითხოვს სერიოზულ მიდგომებს. ცუდია, რომ ჩვენ არ გვაქვს სამხედრო პროკურატურა და სამხედრო ტრიბუნალი.

– სამხედრო პროკურატურა იყო და გაუქმდა.

– დიახ, გააუქმეს. ეს იყო უწყება, რომელიც იძიებდა სამხედრო დანაშაულს. არის დანაშაულობები, რომელთა გამოძიებასა და გასამართლებაში არ უნდა ერეოდნენ სამოქალაქო პირები. ეს არ არის მათი საქმე

– ე.ი. ასეთ შემთხვევებში სამხედრო პროკურატურაა საჭირო.

– აუცილებლად, რადგან არის საქმეები, რომელთაც სამხედრო პროკურატურა უნდა იძიებდეს. მაგალითად, თავიდანვე დანაშაული იყო „ჯაშუშების საქმის" ძიება არასამხედრო სტრუქტურის მიერ. მთავარ პროკურატურას არავითარი საქმე არ აქვს ჯაშუშების საქმის გამოძიებასთან. მით უმეტეს, სამოქალაქო სასამართლოს განაჩენი არ უნდა გამოეტანა. ეს არის დანაშაული.

– ფაქტი მოხდა 4-ის ნახევარზე, ხოლო ცხედარი აღმოაჩინეს 8-ის ნახევარზე. ეს მართლა დიდი დროა და ამ დროში რეაგირება რატომ არ უნდა ყოფილიყო? ვთქვათ, გუშაგი, ვინც გაისროლა, დაიბნა.

– შეიძლება გუშაგი დაიბნა, ვთქვათ, მას არ ჰქონდა გამოცდილება, მაგრამ იქ მას ხომ ჰყავს ხელმძღვანელი. იმ ხელმძღვანელს უნდა მიეღო ზომები და გაეშვა ოპერატიული ჯგუფი ყველა ვარიანტში, რომელსაც ტერიტორიის დეტალური შემოწმება უნდა მოეხდინა. მათ შორის, რომელი ეჭვმიტანილი პირები იყვნენ დაცული ობიექტის სიახლოვეს. აღნიშნული ადგილი დეტალურად უნდა დაემუშავებინათ.

– საინტერესოა, ხელმძღვანელობა ადგილზე იყო, როცა ფაქტი მოხდა?

– არ ვიცი. ეს საგამოძიებო ჯგუფმა უნდა დაადგინოს.

– რა დონის ხელმძღვანელი უნდა რჩებოდეს ღამით ასეთი ცენტრში?

– რჩება ოპერატიული მორიგე, რომელიც პასუხისმგებელია ობიექტის შიგნით არსებული ვითარებაზე. შესაბამისად, ამ პერიოდში ნაწილში იმყოფება საგუშაგო განაკვეთის მეთაური, რომელიც პოსტებზე ანაწილებს სამხედროებს. აკონტროლებს, რომ უსაფრთხოების პირობები გარანტირებული იყოს. ის არის ცალკე პიროვნება და პასუხისმგებელია ასეთი ტიპის ინციდენტების რეაგირებაზე.

არსებობს კიდევ ოპერატიული ჯგუფი, რომელიც თუ შეამჩნევს თუნდაც სავარაუდო, არაკანონიერი ქმედების არსებობას, შეამჩნევს ტერიტორიაზე შეჭრის, ტერიტორიაზე თავდასხმის შესაძლებლობას, უნდა იმოქმედოს, ანუ ეს არის სამხედრო შენაერთი, რომელსაც ევალება ასეთი ინციდენტების პრევენცირება და ლიკვიდაცია.

– ეს ბაზა არ ეკუთვნის მხოლოდ ქართულ მხარეს.

– დიახ, ეს არის ნატო-საქართველოს ერთობლივი ობიექტი, რომელიც უნდა იყოს უფრო მეტად დაცული, ვიდრე სხვა.

– ესეც ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ შეიძლებოდა იქ მცირე დარღვევაზეც მკაცრი რეაგირება მომხდარიყო? შეიძლებოდა არ ესროლათ და ისე გაეშვათ იქ შესული ჯგუფი?

– გუშაგს აქვს უფლება, გამაფრთხილებელი სიგნალის შემდეგ თუ არ დაემორჩილება, გახსნას ცეცხლი პირდაპირი დამიზნებით.

– იმდენად, რამდენადაც ეს არის ნატოს საწვრთნელი ცენტრიც, სიტუაცია უფრო ხომ არ რთულდება? ნატოს ბაზაზე შედიოდნენ.

– ბუნებრივია, ეს მეტ ყურადღებას ითხოვს. მომხდარი ფაქტით შეიძლება საერთაშორისო საზოგადოება დაინტერესდეს.

– ნატო ჩართული იქნება გამოძიებაში?

– ალბათ, ჩართული იქნება, რადგან ფაქტი ერთობლივ საწვრთნელ ბაზაზე მოხდა.

სასამართლომ ამირან ზაგაიძეს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

სასამართლომ ბრალდებულ ამირან ზაგაიძეს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორც ინტერპრესნიუსს პროკურატურიდან აცნობეს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წარსულში ნასამართლევი ამირან ზაგაიძე დამნაშავედ ცნო მკვლელობის მცდელობასა და ძარცვაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლითა და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 8 თებერვალს, ღამის საათებში, ამირან ზაგაიძე ქალაქ რუსთავში მე-15 მ/რ-ში მდებარე ერთ-ერთ ინტერნეტ კაფეში აშკარად დაეუფლა გიორგი მუჯრიშვილის კუთვნილ მობილურ ტელეფონს. მას შემდეგ, რაც გიორგი მუჯრიშვილმა ტელეფონის დაბრუნება მოითხოვა, ამირან ზაგაიძემ მას ჩხუბი დაუწყო, როდესაც, შურისძიების მოტივით, მოკვლის განზრახვით, გიორგი მუჯრიშვილს მუცლის არეში დანით რამდენჯერმე მიაყენა ჭრილობა, მათ შორის ერთ-ერთი სიცოცხლისთვის სახიფათო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შედეგად, გიორგი მუჯრიშვილის გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა ამირან ზაგაიძე 2016 წლის 12 თებერვალს საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით (მკვლელობის მცდელობა) და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის) წარედგინა.

რუსთავის რაიონულმა სასამართლომ ამირან ზაგაიძე სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

სიძემ ცოლისძმას ყელი გამოჭრა



კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.

მან ოჯახური კონფლიქტისას მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

შემთხვევა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთში 25 ოქტომბერს მოხდა. არსებული ინფორმაციით, სიძემ ცოლის ძმას, 30 წლამდე ახალგაზრდას ყელი გამოჭრა.

დაშავებული გურჯაანის ჯეო-ჰოსპიტალსშია მოთავსებული. მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

რომან შენგელია: „კითხვებზე პასუხები მივიღე"

გუშინ, 26 ოქტომბერს, კრწანისის სამხედრო ბაზაზე გარდაცვლილი გიგა შენგელიას მამა, რომან შენგელია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ გამოკითხა.

ის სამხედრო პოლიციაში კრწანისის სამხედრო ბაზაზე მომხდარი შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ მოვიდა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ რომან შენგელიამ აღნიშნა, რომ შეკითხვებზე, რომლებიც ჰქონდა, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისგან პასუხი მიიღო. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, დარწმუნდა, რომ მის შვილს ბაზის ტერიტორიაზე ესროლეს და არა გარეთ.

– დავათვალიერე ადგილი, სადაც შემთხვევა მოხდა. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა ვითარებაში გამარკვიეს. რა კითხვებიც მქონდა, პასუხები მივიღე. კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ და დაველოდები გამოძიების შედეგებს. სამი შეკითხვა მქონდა და სამივეზე მივიღე პასუხი. ფაქტია, ზურგიდან აქვს ნასროლი, ტერიტორიიდან მირბოდა და ზურგში მოხვდა ტყვია, – განაცხადა რომან შენგელიამ.

რაც შეეხება იარაღს, როგორც გარდაცვლილის მამამ აღნიშნა, მას ანახეს სურათი, სადაც ე.წ. „გაზის პისტოლეტი „ იყო დაფიქსირებული.

რომან შენგელიას ინფორმაციით, მისი მეორე შვილი მიმალვაში შიშის გამო იმყოფება.

– მეორე დღეს დამირეკა. რამდენჯერმე იყო შემოსული მისი ზარი. როდესაც ველაპარაკე, მითხრა, რომ შემთხვევის დროს ძმასთან ერთად არ იყო. ახლა იმიტომ არის მიმალვაში, რომ პირველ რიგში ჩემი ეშინია. ხომ ითქვა გიორგის სახელი – ეშინია ბავშვს, ის 20 წლისაა. ვიცი, რომ საქართველოში იმყოფება, ქვეყანა არ დაუტოვებია, – განაცხადა რომან შენგელიამ.

ტრამპი–კლინტონი: დაიწყო ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი

აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნებამდე ორი კვირაღა დარჩა. კანდიდატებიც ბრძოლის გადამწყვეტი რაუნდისთვის გულდასმით ემზადებიან. ჰილარი კლინტონი თავის კონკურენტს კვლავაც 10-12%-ით უსწრებს. მიუხედავად ამისა, ტრამპი იხტიბარს არ იტეხს.

– ამ რეიტინგებისა არც მე, არც სხვა ნებისმიერწესაღად მოაზროვნე ადამიანს არ სჯერა! ყველასთვის ცხადია, რომ აღნიშნული კომპანიები, ისევე, როგორც მედიის უმრავლესობა, კლინტონებმა მოისყიდეს, – აცხადებს ტრამპი.

არჩევნების წინ მილიარდერი ფლორიდის შტატს ეწვია. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ფლორიდა საპრეზიდენტო არჩევნებში მუდამ გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ტრამპიც ფლორიდელთა მხარდაჭერაზე უდიდეს იმედს ამყარებს.

– მივესალმები ყვავილების მშვენიერი ქვეყნის მკვიდრთ, ანუ ფლორიდელებს, – ასე დაიწყო ტრამპმა წინასაარჩევნო მიტინგზე თავისი გამოსვლა.

მილიარდერს საკმაოდ ცივად შეხვდნენ. აპლოდისმენტები კანტი-კუნტად ისმოდა. მიუხედავად ამისა, ტრამპმა იხტიბარი მაინც არ გაიტეხა. ის არ ხუმრობდა, არ ცდილობდა, სიტუაცია განემუხტა. მისი გამოსვლა იყო ცეცხლოვანი. ტრამპი ცდილობდა, ამ ენთუზიაზმით დამსწრენიც დაემუხტა და გარკვეულწილად ეს შეძლო კიდეც.

– ამერიკა ცვლილებებს საჭიროებს, ეს კი პოლიტიკური ელიტის ცვლილების გარეშე წარმოუდგენელია! ჰილარი კლინტონი ამჟამინდელი სახელისუფლებო ელიტის წარმომადგენელია, ელიტისა, რომელმაც ამერიკის, როგორც დიდი სახელმწიფოს, სტატუსი ეჭვქვეშ დააყენა!

ეს მართლაც უდიდესი რიხით იყო ნათქვამი. ასეთი ცეცხლოვანი სიტყვა ტრამპს აქამდე არ წარმოუთქვამს. სხვა მხრივ მისი გამოსვლა ორიგინალობით არ გამოირჩეოდა. ტრამპმა კვლავ მიუთითა ჰილარი კლინტონის შეცდომებზე სახელმწიფო მდივნის პოსტზე მუშაობის დროს, იმაზე, რომ ჰილარი პირად სერვერს საიდუმლო მიმოწერისთვის იყენებდა. არც ჰილარი კლინტონის სუსტი ჯანმრთელობა დავიწყნია. ამის შემდეგ აქცენტი გააკეთა თავის ეკონომიკურ პროგრამაზე, რომელიც თურმე ამერიკული საშუალო კლასის კიდევ უფრო გაძლიერებისკენაა მიმართული.

– ქვეყნის სიძლიერეს მისი საშუალო ფენის სიძლიერე განსაზღვრავს, – თქვა ტრამპმა.

ჰილარი კლინტონი ნიუჰემპშირის შტატს ეწვია. პრაიმერის დროს ჰილარიმ აქ მარცხი განიცადა, თუმცა სხვა შტატებში დამაჯერებლად გაიმარჯვა. ჰილარის გამოსვლა მშვიდი, გაწონასწორებული იყო. მასში კონკრეტული არგუმენტები სჭარბობდნენ, ემოცია კი ცოტა იყო.

ვენესუელის პარლამენტმა პრეზიდენტ მადუროს პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა

ვენესუელაში გრძელდება დაპირისპირება პრეზიდენტ მადუროსა და ხალხს შორის.

ამ ფონზე პარლამენტში კენჭისყრაზე დააყენეს საკითხი პრეზიდენტ მადუროს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

პარლამენტმა ამას მხარი დაუჭირა.

ხარკოვის კოლონიის უფროსი მკვდარი იპოვეს



© Reuters

მკვდარი იპოვეს ხარკოვის 54-ე კოლონიის უფროსი ივანე პერვუშკინი.

ეს ის კოლონიაა, სადაც იხდიდა სასჯელს იულია ტიმოშენკო.

პერვუშკინის სიკვდილის მიზეზი თვითმკვლელობაა.

მომხდარი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

ნადეჟდა სავჩენკო მოსკოვში ჩავიდა

უკრაინელი დეპუტატი ნადეჟდა სავჩენკო მოსკოვში ჩავიდა. ის უზენაესი სასამართლოს სხდომას დაესწრო, სადაც ორი უკრაინელის, ნიკოლაი კარპიუკისა და სტანისლავ კლიხის საქმის განხილვა გაიმართა.

მიმდინარე წლის 26 მაისს გროზნოს სასამართლომ ორივე მათგანი 1994-1995 წლებში ჩეჩნეთში, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაში დამნაშავედ ცნო. სასამართლომ ნიკოლაი კარპიუკს 22,5-წლიანი, სტანისლავ კლიხს კი 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ადვოკატებმა და უფლებადამცველებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ სასამართლო პროცესი უამრავი დარღვევით მიმდინარეობდა და გამოძიებას ფაქტობრივად, უკრაინელების ბრალის დასამტკიცებლად, არგუმენტები არ გააჩნია.

უზენაეს სასამართლოში მივიდნენ ევროკავშირის ცხრა ქვეყნის წარმომადგენელი, ათობით ჟურნალისტი, დიპლომატი და ადვოკატი.

– ვიცი, როგორი მნიშვნელოვანია, როცა „სასამართლოს“ დარბაზში, სადაც გალიაში ზიხარ, უკრაინელები იმყოფებიან. როცა შენს შეძახილს „დიდება უკრაინას“ უპასუხებენ „დიდება გმირებს“! ხვდები, რომ შენიანებმა არ მიგატოვეს და ბრძოლა გრძელდება, – წერს სავჩენკო ფეისბუქში.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

ავღანეთში ისლამურმა სახელმწიფომ 30 ადამიანი მოკლა

ავღანეთში, ტერორისტული დაჯგუფება ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირში მყოფმა მებრძოლებმა 30 სამოქალაქო პირი გაიტაცეს და მოკლეს. დაღუპულთა შორის არიან ბავშვები.

პროვინცია ღურში სამოქალაქო პირები მაშინ გაიტაცეს, როცა ისინი ტყეში შეშას აგროვებდნენ. დასახმარებლად მისულ ადგილობრივებსა და მებრძოლებს შორის სროლა მოხდა, დაღუპულია ისლამისტების მეთაურიც.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

მან შეიძლება თქვენ სიკვდილისგან

გადაგარჩინოთ!!!

მხუთავი გაზის (CO — კარბონ-მონოქსიდის) დეტექტორი.

CO – ერთ-ერთი ყველაზე საშიში საფრთხე ადამიანის სიცოცხლისათვის. მას არ აქვს არც გემო, არც სუნი, არც ფერი და შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს თქვენს ჯანმრთელობას ან გამოიწვიოს სიკვდილიც კი!

ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-თებერვალში CO-თი ინტოქსიკაციის 1500-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, არაოფიციალური მონაცემები კი გაცილებით მეტია. 2015-16 წლებში ლეტალური შედეგით რამდენიმე ათეული შემთხვევა აღირიცხა.

დღეს ეს საფრთხე თითქმის ყველგანაა ჩასაფრებული, თუმცა ჩვენ გთავაზობთ მისი გაკონტროლებისა და თავიდან აცილების საშუალებას CO – კარბონ-მონოქსიდის დეტექტორს. იგი ზომავს ოთახში მხუთავი აირის კონცენტრაციის დონეს და სახიფათო ზღვარის მიღწევის შემთხვევაში ხმოვანი სიგნალით (85 დბ. სიმძლავრით) გატყობინებთ საშიშროების შესახებ.

ფასი: 50.00 ლარი.
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 79.
ტელ.: 596 20 30 20, 598 37 30 19

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვანკომპანიასესაჭიროებაუფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისადანარკომპანიისგანსამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

ქრონიკული ალკოჰოლიზმისგან განკურნება, „პახმელია“, „ზაპოი“, აგრესიულობა, ალკოჰოლდამოკიდებულების მოხსნა (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში), სიგარეტის მწეველობისგან განთავისუფლება ფილტვების გაწმენდით, ნერვული სტატუსის მოწესრიგებით, ნიკოტინდამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო პროდუქტით. ტელ: 599-45-88-66; 555–45-13-45. საიტი: carabadini.com

ფაჩულიამ ცუდად დაიწყო, შენგელია და დიქსონი იგებენ

ცუდად დაიწყო ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ახალი სეზონი გოლდენ სტეიტმა, რომელიც ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტია.

ლიგის ფავორიტები, სადაც ამ სეზონის წინ ზაზა ფაჩულია გადავიდა, სან ანტონიოს ოკლენდში შეხვდნენ. მატჩი სტუმართა ლიდერობით რომ დაიწყო, ისე ჩამთავრდა, გოლდენ სტეიტს წარმატების შანსი ფაქტობრივად არ ჰქონია. სანანტონიოელებმა ყველა მეოთხედი მოიგეს და საბოლოოდ 129:100 გაიმარჯვეს.

ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 20 წუთი გაატარა. ფაჩულიამ ერთადერთი შეტევა წარმატებულად დააგვირგვინა და მატჩი 2 ქულით, 3 მოხსნითა და 1 პასით დაასრულა. ზაზამ 2 ჯარიმა მიიღო და ბურთი 3-ჯერ დაკარგა. 2 ქულით და 4 მოხსნით დაასრულა მატჩი ქართველი ცენტრის უშუალო ოპონენტმა პაუ გასოლმა, რომელიც სანანტონიოელთა სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 18 წუთი გაატარა.

სან ანტონიოში შეუჩერებელი იყვნენ ფორვარდი კავაი ლეონარდი, რომელმაც 15-დან 15 საჯარიმო და 35 ქულა მიითვალა და ლამარკუს ოლდრიჯი (26 ქულა, 14 მოხსნა). ტეხასელებს სათადარიგოთა სკამიდან დიდად დაეხმარნენ ერთწლიანი გამოცდილების მქონე ჯონათან საიმონსი (20 ქულა), პატი მილსი (11) და მანუ ჯინობილი (10).

რაც შეეხებათ ოკლენდელ მექულეებს, 27 ქულითა და 10 მოხსნით კევინ დიურანტი გამოირჩა, სტეფ კარიმ კი შეხვედრა 26 ქულით დაასრულა. დრეიმონდ გრინს 18 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი და 5 ჩაჭრა ჰქონდა.

რეგულარული ჩემპიონატის მეორე მატჩს გოლდენ სტეიტი 29 ოქტომბერს ნიუ ორლეანში, პელიკანსთან ჩაატარებს.

თორნიკე შენგელიამ და მისმა ბასკონიამ დიდი წარმატებით ითამაშეს ევროლიგის ეგიდით ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე. მე-3 ტურში, ესპანურ დერბის მადრიდმა უმასპინძლა და სავსე ტრიბუნების წინ სამეფო კლუბმა რეალმა და ვიტორიულმა ბასკონიამ ითამაშეს, გამარჯვება ქართველი ფორვარდის გუნდმა მოიპოვა.



ბასკურმა კლუბმა 91:87 იმარჯვა, რაშიც შენგელიას როლი უმნიშვნელოვანესია.

ბასკონია საწყის ნახევარში 17 ქულითაც კი იგებდა და მართალია, რეალმა თამაშის შემოტრიალება და დაწინაურება მოახერხა, მაგრამ ბოლო წუთებზე უფრო მობილიზებულმა სტუმრებმა იმარჯვეს.

საკალათბურთო ლეგიონის ამბები

შენგელია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 27 წუთში 14 ქულა, 3 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. თორნიკემ 10-დან 5 ორქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. გმირი კი, სტუმართა სლოვენიელი უკანახაზელი იაკა ბლაჟიჩი გახდა, რომელმაც საჭირო ჟამს სამქულიანები ზუსტად სტყორცნა და საბოლოოდ, 21 ქულა მოაგროვა.

ორმაგი დუბლი (18 ქულა, 11 მოხსნა) შეასრულა გერმანელმა ცენტრმა იოჰანეს ვოიგტმანმა, უნგრელმა ფორვარდა ადამ ჰანგამ 12 ქულა მიითვალა, ამერიკელი გამთამაშებლის – შეინ ლარკინის მონაგარი კი 11 ქულა იყო.

ბასკონიელებს 3 ტურის შემდეგ 2 მოგება აქვთ. მომდევნო მატჩს კი, 27 ოქტომბერს, შინ გამართავენ ოლიმპიაკოსთან.

საქართველოს ნაკრების ამერიკელი გამთამაშებლის მორიგი წარმატებული მატჩი ჩაატარა ბერძნულ აეკში. ათენურმა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მორიგი გამარჯვება სტუმრად, ბელგიაში მოიპოვა.

აეკი შარლერუას ესტუმრა და პროქსიმუს სპიროუ 80:58 გაანადგურა. დიქსონი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. მოედანზე გატარებულ 27 წუთში კი 14 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. მაიკლმა 4-დან 1 ორქულიანი და 6-დან 4 სამქულიანი გამოიყენა.

აღსანიშნავია, რომ დიქსონის მოედანზე ყოფნის პერიოდში სტუმრებმა მეტოქეზე 25 ქულით მეტი ჩააგდეს და ეს, საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ. შედეგიანობის მხრივ, მაიკლზე უკეთესი შედეგი მხოლოდ ხორვატ ლეგიონერ როკო-ლენი უკიჩს ჰქონდა – 18 ქულა.

აეკ-ი 2 მოგებით „ე“ ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია, მომდევნო მატჩს კი 1 ნოემბერს, შინ, სტამბოლის ბეშიქთაშთან გამართავს.

ფიფამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია დააჯარიმა

ფიფამ ეს სასჯელი ესპანური კლუბების არასრულწლოვანი ფეხბურთელების არასწორის სატრანსფერო პოლიტიკის გამო დაუწესა. ესპანეთის ფედერაციას 220.000 შვეიცარიული ფრანკის გადახდა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ მადრიდის ატლეტიკოს და მადრიდის რეალს ფიფამ 2 სატრანსფერო სეზონის განმავლობაში ფეხბურთელების შეძენა აუკრძალა. კლუბები 2018 წლამდე ვერც ერთი ფეხბურთელის დამატებას ვერ შეძლებენ.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრობლემა კატალონიის ბარსელონასაც ჰქონდა, ფიფამ კლუბი, მადრიდული კლუბების მსგავსად, 2 სატრანსფერო ფანჯრის განმავლობაში დასაჯა, თუმცა მათგან განსხვავებით, კატალონიელებს ფეხბურთელებთან კონტრაქტის გაფორმება მაინც შეეძლოთ.

ფიფამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას 6 თვე მისცა, რათა სატრანსფერო სისტემა გაუმჯობესოს.

დიდი 10-ის პირველობაზე ლიდერი ისევ შეიცვალა

სარაგბო ჩემპიონატის, დიდი 10-ის მე-7 ტურში ლიდერი კიდევ შეიცვალა – ქუთაისის აიას უეცარი შეფერხებით ისარგებლა თბილისის ლოკომოტივმა და წინ გაიჭრა.

აცივების კვალად ლელოიანობამ ისევ იკლო: თუ ორი კვირის წინ გუნდები 27-ჯერ ეწივნენ მიზანს, ხოლო წინა ტურში 14 ლელო დაიდო – ამჯერად ხუთიდან 4 მატჩი ლელომწირი გამოვიდა. ჰოდა, ტურში 11 ლელოღა რომ მოგროვდა, საშუალო მაჩვენებელი 3.51-მდე შემცირდა.

ლოკომოტივი გორში, ჯიქს ეწვია და პირველი ტაიმი არარაგბულად, 0:0 დასრულდა. რკინიგზა გიორგი აფციაურის ლელოთი გაიჭრა წინ, გამარჯვება კი ბექა წიკლაურმა გააფორმა არეკნით 10:5.

აია შინ 0:14 ჩამორჩა არმიას და ბოლოს ისღა შეძლო, რომ სანუგეშო ქულა მაინც მიითვალა – 8:14.

დამარცხდა დასავლეთის სხვა ორი კლუბიც. ბათუმი შინ მთელი თამაში აგებდა ბოლო ადგილზე მყოფ არმაზთან, ვისაც ყველა ქულა დარტყმებით შესძინა მოთამაშე-მწვრთნელმა, 37 წლის დათო კიკნაძემ – 18:14.

ბაგრატი ავჭალაში კარგა ხანს ეძალებოდა აკადემიას, მაგრამ შეტევაში ჯარიმდებოდა. მასპინძლებმა ანზორ სიჭინავასა და სოსო მათიაშვილის წაბურთავებით გაიტანეს მატჩის ერთადერთი ლელო – 11:6. ბაგრატი ისევ პრემიალური ქულით გაბრუნდა შინ. აღსანიშნავია, რომ დებიუტანტი ამ პრემიალური ქულების წყალობით უკვე კარგად უსწრებს კონკურენტებს.

ტურის მშვენება იყო თამაში შევარდენზე. ყოჩებმა ლელო სარასენსზე მეტი ლელო კი დადეს, მაგრამ კარში უზუსტოდ ურტყეს, რის გამოც ბოლო ოთხი წლის ჩემპიონმა 1 ქულით იმარჯვა 18:17 და მე-3 ადგილამდე აღზევდა.

სატუნირო ცხრილი:

1.ლოკომოტივი	7	6	0	1	127:76	25
2.აია	7	5	0	2	139:99	23
3.ლელო სარასენსი	7	5	0	2	137:114	23
4.ჯიქი	7	4	0	3	136:084	21
5.ბათუმი	7	4	0	3	115:104	18
6.არმია	7	4	0	3	109:108	17
7.აკადემია	7	3	0	4	108:114	14
8.ბაგრატი	7	2	0	5	120:135	12
9.ყოჩები	7	1	0	6	102:164	7
10.არმაზი	7	1	0	6	85:180	5

მოურინიო რუნის წასვლას ურჩევს და თავადაც წყალი აქვს შემდგარი

მანჩესტერ იუნაიტედის კაპიტანმა უეინ რუნიმ შეიტყო, რომ კლუბის მთავარი მწვრთნელი მას გუნდის გამოცვლას ურჩევს.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში რუნი მოედანზე თავისთვის საუკეთესო პოზიციის ძიების პროცესშია, მაგრამ ვერც თავდამსხმელად და ვერც ნახევარმცველად ვერ ბრწყინავს. შედეგად, რუნიმ ადგილი დაკარგა კლუბისა და ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ ლიგის ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში რუნი სასტარტო შემადგენლობაში არ გამოჩენილა, ჩელსისთან მატჩის განაცხადში კი, ტრავმის გამო, საერთოდ ვერ მოხვდა. კაპიტნის პერსპექტივები, რომელმაც თავის 31-ე წელს ორშაბათს მიაღწია, „ოლდ ტრაფორდზე“ საკმაოდ ბუნდოვანია.

ინგლისური მედიისთვის ცნობილი გახდა, რომ მოურინიო რუნის წარმომადგენლებს დაუკავშირდა და შეატყობინა, რომ მათი კლიენტისთვის სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის გარანტიის მიცემა არ შეუძლია და რუნის სახით იუნაიტედის მომავლის შენებაში წამყვან ფიგურას ვერ ხედავს.

მოურინიომ აღნიშნა, რომ რუნის გაყიდვის აუცილებლობას თავის მხრივ ვერ ხედავს, მაგრამ ფეხბურთელის კეთილდღეობისა და მუდმივი სათამაშო პრაქტიკის გამო, მას კლუბის შეცვლას ურჩევს. სავსებით შესაძლებელია, რომ არსებული მდგომარეობის გაუარესების ან შენარჩუნების შემთხვევაში რუნი ამერიკის ან ჩინეთის ჩემპიონატში გადასვლაზე დაფიქრდეს.

რუნის მოქმედი კონტრაქტი იუნაიტედთან 2019 წელს იწურება.

იუნაიტედის ბანაკში ყველაფერი იდეალურად ვერ არის და ამაში მხოლოდ არადამაკმაყოფილებელი შედეგები და თამაშის ხარისხი არ იგულისხმება.

გუნდში გარკვეული არეულობაა და, თითქოს, დაძაბული ატმოსფეროა. ეს ყველაფერი ბრიტანული პრესის მითქმა-მოთქმითაც დასტურდება. მანჩესტერელთა რამდენიმე ფეხბურთელი შოკირებულია ჟოზე მოურინიოს ზოგიერთი მეთოდით და გარდა ამისა, იმით, თუ როგორი დისტანციური გახდა ის მათდამი ცუდი შედეგების მერე.

მოურინიოს ზამთარში და განსაკუთრებით, მომავალი ზაფხულისთვის დიდი წმენდა აქვს დაგეგმილი, თუ იქამდე თავად არ გაუშვეს.

ძალოსანი ირაკლი ჩხეიძე მსოფლიოს ჩემპიონია

მალაიზიაში, ქალაქ პენანგში დასრულებულ მსოფლიოს პირველობაზე ძალოსნობაში ჭაბუკებს (17-წლამდე) შორის, 94 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ირაკლი ჩხეიძემ ატაცში 154 კგ, აკვრაში კი 186 კგ. დაიმორჩილა და ორჭიდში მოპოვებული შედეგით (340კგ) მსოფლიო ჩემპიონს ტიტული მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ, ირაკლი ჩხეიძე მსოფლიო პირველობაზეც ერთ-ერთი ფავორიტი იყო.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები მალაიზიაში 2 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. მძიმე წონაში ბ ჯგუფში გამოვიდა თორნიკე ტაბატაძე, რომელმაც საბოლოოდ მე-4 ადგილი დაიკავა.

ზურაბ ანთაური, ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– ტაქტიკურად მოვიგეთ. სასიამოვნოა, როდესაც ყველაფერში პირველზე ხარ, მაგრამ როგორც საჭირო იყო, ისე წავიყვანეთ პროცესი. რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ჩვენს გვერდით იდგა და ყველანაირად გვეხმარებოდა. პირადად ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს კახი კახიაშვილს, რომელიც მაქსიმალურად ყურადღებით იყო. ჩვენი ძალოსნობისთვის, ჩვენი სპორტისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის ეს მნიშვნელოვანი დღეა. ირაკლიმ 6 შესაძლებლობიდან ექვსივე გამოიყენა. ეს კლასია...

„ოქროს ბურთის“ ნომინანტთა სია უკვე ცნობილია და გულშემატკივრებში გამოკითხვაც მიმდინარეობს.

მაჰრეზი გულშემატკივართა ფავორიტია

გამოკითხვაში რიად მაჰრეზი ლიდერობს. ალჟირელი ისეთ ფეხბურთელებსაც უსწრებს, როგორებიც ლიონელ მესი და კრიშტიანუ რონალდუ არიან. როგორც ჩანს, არგენტინელის და პორტუგალიელის დუეტი ხალხს უკვე ყელში ამოუვიდა.

„ოქროს ბურთის“ დამფუძნებელმა ფრანს ფუტბოლმა 30 პრეტენდენტი რომ ჩამოთვალა, ადრეც გამცნეთ. მალევე ჟურნალმა საკუთარ ვებგვერდზე გულშემატკივრებს შორის ხმის მიცემაც ჩაუშვა, თუ ვის მისცემდნენ პრიზს.

ბოლო მონაცემებით, გამოკითხვაში 1,606 მილიონ ადამიანს ჰქონდა ხმა მიცემული და ყველაზე მეტი მხარდაჭერა ლესტერისა და ალჟირის ნაკრების ნახევარმცველმა რიად მაჰრეზმა (37%) მიიღო. მას საგრძნობლად ჩამორჩებიან ლიონელ მესი (27%) და კრიშტიანუ რონალდუ (21%). სხვა ფეხბურთელთაგან არავის მიუღია 4%-ზე მეტი.

როგორც იცით, მაჰრეზი „ლესტერს“ დაეხმარა ინგლისის ყველა დროის ყველაზე სენსაციური ჩემპიონი გამხდარიყო, გაზაფხულზე კი ის პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო 8 წელია „ოქროს ბურთს“ ან მესი იგებს (5-ჯერ) ან რონალდუ (3-ჯერ).

შედეგები

25 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ღიგის თასი

არსენალი-რედინგი 2:0
ბრისტოლი-ჰალი 1:2
ლივერპული-ტოტენჰემი 2:1
ლიდაი-ნორვიჩი 1:1 (3:2პ)
ნიუკასლი-პრესტონი 6:0

ესპანეთი. ჯატალონიის სუპერთასი

ბარსელონა-ესპანიოლი 0:1

გერმანია. თასი

ვურცბურგერი-მიუნხენ 1860 0:0(3:4პ)
დინამო-არმინია 0:1
ფრაიბურგი-ზანდჰაუზენი .. 3:3 (3:4პ)
ლოტე-ლევერკუზენი 1:1 (4:3პ)
აინტრახტი-ინგოლშტადი ... 0:0 (4:1პ)
გლადბახი-შტუტგარტი 2:0
ჰალეშერი-ჰამბურგი 0:4
ზ.პაული-ჰერტა 0:2

იტალია. სერია ა

ჯენოა-მილანი 3:0

სატუნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	9	7	0	2	17-6	21
2.რომა	9	5	1	2	23-11	19
3.მილანი	10	6	1	3	16-14	19
4.ნაპოლი	9	5	2	2	17-10	17
5.ტორინო	9	4	3	2	19-11	15
6.ლაციო	9	4	3	2	16-10	15
7.ჯენოა	9	4	3	2	12-7	15
8.კიევო	9	4	2	3	10-9	14
9.ატალანტა	9	4	1	4	12-13	13
10.სასუოლო	9	4	1	4	12-14	13
11.კალიარი	9	4	1	4	16-19	13
12.ფიორენტინა	8	3	3	2	11-9	12
13.ბოლონია	9	3	3	3	10-13	12
14.ინტერი	9	3	2	4	11-12	11
15.სამპდორია	9	3	2	4	10-12	11
16.უდინეზე	9	3	1	5	10-15	10
17.პესკარა	9	1	4	4	9-14	7
18.ემპოლი	9	1	3	5	2-11	6
19.პალერმო	9	1	3	5	6-16	6
20.კროტონე	9	0	1	8	7-20	1

იტალია. სერია ბ

აველინო-ტერნანა 1:0
ასკოლი-სალერნიტანა 0:0
ბრეშა-ვიჩენცა 2:1
ნოვარა-ბარი 1:0
პერუჯა-კარპი 0:2
პიზა-ვერონა 0:0
პრო ვერჩელი-ლატინა 1:1
ტრაპანი-ბენევეტო 1:0
ფროზინონე-სპალი 2:1
ჩეზენა-ენტელა 0:1

საფრანგეთი. ღიგის თასი

ლავალი-მონპელიე 0:2
ნანტი-ანჟე 2:1

შოტლანდია. ჰიემიერიგა

ჰამილტონი-აბერდინი 1:0

ჯალათბურთი

ნბა. ჩეგულარული სეზონი

კლივლენდი-ნიუ იორკი 117:88
პორტლენდი-იუტა 113:104
გოლდენ სტეიტი-სან ანტონიო 129:100

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ძ-ნი მარიამი

წითელი ქარი გადამდები არ არის

წითელი ქარი კანის დაავადებაა. მისი გამომწვევია ჰემოლიზური სტრეპტოკოკი. დაავადება უფრო ხშირად წლის ცივ თვეებში გვხვდება. ინფექციის წყაროა კანისა და ლორწოვანას სხვადასხვა დაავადება. ჩირქოვანი ჭრილობები, რინიტი, ტონზილიტი, ანგინა და სხვ.

იგი ძირითადად ვითარდება საკუთარ კანსა და ლორწოვანზე მცხოვრები სტაფილოკოკების გააქტივების შედეგად.

დაზიანებული კანიდან და ლორწოვანიდან სტრეპტოკოკები დერმის ლიმფურ ნაპრალებში იჭრებიან და იქ მრავლდებიან. სტრეპტოკოკებისაგან გამომუშავებული ტოქსინი ორგანიზმის ზოგად ინტოქსიკაციას ავითარებს. ლიმფურ ნაპრალებში შემოჭრილ სტრეპტოკოკებს დერმა ჰიპერემიით, შეშუპებითა და უჯრედოვანი ინფილტრაციით პასუხობს.

დაავადება იშვიათად ვითარდება გამომწვევის შემცველ სხვა ჩირქოვან კერებთან უშუალო შეხებით, ან სხვადასხვა საგნების საშუალებით. ავადმყოფობის ინკუბაციური პერიოდი 1-3, იშვიათად კი 6-8 დღეა. დაავადება უფრო ხშირად იწყება ერთბაშად, შემცივნებით, ტემპერატურა იმატებს სწრაფად, ავადმყოფს ეწყება თავის ტკივილი, გულისრევა და ღებინება. კანის იმ არეში, სადაც შემდგომ წითელი ქარი ვითარდება, ავადმყოფს აწუხებს დაჭიმულობის შეგრძნება და წვა. 1-2 დღის შემდეგ ამ ადგილზე კანი წითლდება, წამოიწევა ირგვლივ მყოფ ჯანმრთელ კანთან შედარებით, იჭიმება, პრიალებს, ვითარდება შეშუპება. შეხებისას ცხელია და მტკივნეული. ლაქა თანდათან იზრდება პერიფერიისაკენ. მისი კიდე ყოველთვის დაკბილულია და შემოხაზულია მკვეთრი დემარკაციული ზოლით. ამით ცეცხლის ენებს მოგვაგონებს.

ერთმანეთისაგან ანსხვავებენ დაავადების რამდენიმე ფორმას.

ერითემული წითელი ქარისთვის დამახასიათებელია ჰიპერემიისა და შეშუპების განვითარება საკმარისად მოზრდილ უბანზე.

ბულეზური ფორმის დროს ერითემული ცვლილებების ფონზე კანზე ვითარდება სხვადასხვა ზომის სეროზული სითხით სავსე ბუშტუკები.

ჰემორაგიული ფორმის დროს ბუშტუკებში სისხლნარევი სითხე გროვდება.

ჩირქოვანი წითელი ქარის დროს ბუშტუკებში ჩირქია.

ფლეგმონური ფორმის დროს ჩირქი ვრცელდება კანქვეშა შემაერთებელ ქსოვილზე.

განგრენული ფორმის დროს კანის დაზიანებული ქსოვილი დანეკროზებას განიცდის.

წითელი ქარით დაზიანებული უბანი ზოგჯერ არ არის მკვეთრად შემოფარგლული. იჩენს მიდრეკილებას გავრცელებისაკენ და თანდათან ინაცვლებს ახლომდებარე ჯანმრთელი უბნებისაკენ. ეს მცოცავი წითელი ქარია. ზოგჯერ კი, განსაკუთრებით კიდურებზე, გამოტოვებს ჯანმრთელ უბნებს, გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე და წარმოქმნის მრავლობით ანთებით კერებს. ეს წითელი ქარის მეტასტაზური ფორმაა.

ხშირად წითელი ქარი აზიანებს სახეს, კიდურებს, ლორწოვან გარსებს. ახალშობილებთან იგი უფრო ხშირად ჭიპის ირგვლივ ვითარდება.

გაურთულებელ შემთხვევაში, დაავადება გრძელდება 5-8 დღე. ავადმყოფობა მიმდინარეობს ზოგადი ინტოქსიკაციის მოვლენებით. სისხლში ნეიტროფილური ხასიათის ლეიკოციტოზით და ედს-ის აჩქარებით. 6-8 დღის შემდეგ ტემპერატურა ეცემა, ინტოქსიკაციის ხარისხი კლებულობს. კანი ნაზად იქერცლება და შემდგომ სრულად გამოჯანმრთელდება.

გართულებების შემთხვევაში შესაძლოა განვითარდეს კანის ნეკროზი, განგრენა, აბსცესი, ართრიტები, მენინგიტი, ნეფრიტი, პნევმონია და სხვ. განსაკუთრებით საშიშია წითელი ქარის სეფსისური ფორმა. არაიშვიათად, რეციდივულ წითელ ქარს სპილოვანობის განვითარება მოჰყვება. წითელი ქარის რეციდივი ადამიანის ორგანიზმში შესაძლოა სიცოცხლის განმავლობაში რამდენჯერმე განმეორდეს. ავადმყოფის ორგანიზმი განკურნების შემდეგ მასზე იმუნიტეტს ვერ გამომუშავებს. პირიქით, წარმოიქმნება ორგანიზმის გარკვეული მიდრეკილება განმეორებითი დაავადებისადმი ისევ იგივე უბნის დაზიანებით.

ავადმყოფობის დიაგნოსტირება ხდება კლინიკური სურათის მიხედვით. მკურნალობა მიმდინარეობს ანტიბიოტიკების გამოყენებით. მძიმე ინტოქსიკაციის შემთხვევაში ინიშნება კორტიკოსტეროიდული პრეპარატები. კანის ძლიერი ანთებითი ცვლილებების შესამცირებლად გამოიყენება კორტიკოსტეროიდული პრეპარატების მალამოების შეზელვა, ულტრაიისფერი სხივების ერითემული დოზებით დასხივება. აუცილებელია წოლითი რეჟიმის მკაცრი დაცვა. ჩირქოვანი გართულებების დროს შესაძლოა ქირურგიული ჩარევაც.

ავადმყოფობის პროფილაქტიკა ძირითადად კანის სათანადო მოვლასა და პირადი ჰიგიენის დაცვაში მდგომარეობს. სტრეპტოკოკის ხელახალი გააქტივების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა სტრეპტოკოკული ინფექციის ქრონიკული კერების მკურნალობა.

წითელი ქარით დაავადებული ადამიანი გადამდები არ არის.

სპორტი

ვაკო გვილიათი ბერლინის ჰერტა დაინტერესდა

ბელარუსის ჩემპიონ ბატეს ფეხბურთელი ვაკო გვილია რამდენიმე თვის წინ ნაკლებად იყო ცნობილი, მაგრამ ნაკრებში კარგმა თამაშმა გამოიწვია ის, რომ მისი შეძენით გერმანული გუნდებიც დაინტერესდნენ.

ერთ-ერთი მათგანი ბერლინის ჰერტაა, რომელიც ბუნდესლიგაში მე-3 ადგილზე იმყოფება.

ჯერჯერობით ბატეს კონკრეტული წინადადება არ მიუღია და აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბელარუსები გვილიას ადვილად არ შეელევიან.

გვილიას შეძენით ლაიპციგიც არის დაინტერესებული.

კარლოს ალბერტო გარდაიცვალა

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი კარლოს ალბერტო, რომელიც 1970 წელს ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, 72 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი სიკვდილის მიზეზი გულის შეტევა გახდა.

ბოლო პერიოდში კარლოს ალბერტო ჯანმრთელობას ხშირად უჩიოდა, თუმცა მისი სიკვდილი ყველასთვის მოულოდნელი გამოდგა.

კარლოს ალბერტომ ბრაზილიის ნაკრებში 53 მატჩი ჩაატარა და 8 გოლის გატანა შეძლო. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იტალიის ნაკრების წინააღმდეგ გატანილი მე-4 გოლი იყო 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში.

იმ შეხვედრაში, რომელიც ბრაზილიამ 4:1 მოიგო, კარლოს ალბერტო პელესთან ერთად თამაშობდა, რომელმაც მისი გარდაცვალების გამო უკვე გამოთქვა ღრმა მწუხარება.

საბა კვერკველია რუბინს დატოვებს



ყაზანის რუბინის და საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველი საბა კვერკველია კლუბში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა და რუბინის დატოვებას აპირებს. კვერკველიას ყიდვა რამდენიმე კლუბს უნდა, აქედან ერთ-ერთი კრასნოდარია, სადაც თორნიკე ოქრიაშვილი თამაშობს.

წლების მანძილზე ქართველი მცველი რუბინის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო, მაგრამ ახალი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ საბა იშვიათად გამოდის მოედანზე, რის გამოც მან რუბინიდან წასვლა გადაწყვიტა.

პოლ პოგბა ცენტრალური მცველი გახდება?

პოლ პოგბა ჯერჯერობით ვერ ამართლებს მოლოდინს და მისი მანჩესტერ იუნაიტედში ტრანსფერი ბევრს უკვე შეცდომად მიაჩნია.

როგორც ჩანს, ჟოზე მოურინიომ გამოსავალი იპოვა და პოგბას მოედანზე ახალი პოზიცია ექნება. მოურინიოს აზრით, პოგბასგან ძალიან კარგი ცენტრალური მცველი გამოვა, ამიტომ უახლოეს მატჩებში ის შესაძლოა სწორედ ამ პოზიციაზე ვიხილოთ. თვითონ პოგბას ამაზე ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა თუ ჟოზე ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, პოგბას მოუწევს ახალ ამპლუაში თავისი ძალების მოსინჯვა.

მანჩესტერ იუნაიტედში ამჟამად რთული ვითარებაა და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უეინ რუნიმ შესაძლოა გუნდი დატოვოს.

დავიდ ვილია, შესაძლოა, ესპანეთის ნაკრებში გამოიძახონ



ვეტერანი ესპანელი ფეხბურთელი დავიდ ვილია, რომელიც ამჟამად ნიუ იორკ სიტის ღირსებაც იცავს, შესაძლოა, ნაკრებში გამოიძახონ. ვილია 34 წლის არის, მაგრამ ის ისევ შედეგიანია და ნიუ იორკის შემადგენლობაში 62 მატჩში 40 გოლის გატანა შეძლო.

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხულიენ ლოპეტეგიმ აღნიშნა, რომ ის აკვირდება ვილიას თამაშს და არ არის გამორიცხული, ის ნაკრებში დააბრუნოს.

თავის მხრივ, დავიდმა თქვა, რომ ის სიამოვნებით ითამაშებს ნაკრების შემადგენლობაში. აღსანიშნავია, რომ 59 გატანილი გოლით დავიდ ვილია ესპანეთის ნაკრების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი
27 ოქტომბრისათვის

ვერძი – თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. დაკავდით სპორტით, მიიღეთ ახალი ინფორმაცია. გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **ტყუპები** – კრიტიკული პერიოდია. საქმიანი პარტნიორის მიერ დაშვებული შეცდომა დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – შესაძლოა, გეგმები ძირფესვიანად შეგეცვალოთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ დოკუმენტებთან მიმართებით. **ლომი** – მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. რაც მოსახდენია, მაინც მოხდება. ვერაფერს შეცვლით. **ქალწული** – ფინანსური კრიზისი უკან რჩება. თქვენი შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება. გელით სხვა სასიამოვნო სიახლეებიც. **სასწორი** – მეგობრებისა და ახლობლების რჩევები ფასდაუდებელ სამსახურს გაგიწევთ. ახალი იდეების რეალიზებას დაუყოვნებლივ შეუდექით. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. ახალგაცნობილი ადამიანები საკმაოდ საინტერესო ცვლილებებს გთავაზობენ. **მშვილდოსანი** – სხვების რჩევებს ნუ დაუჯერებთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თხის რქა** – თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. შეცდომების გამოსასწორებლად იშვიათი შანსი გეძლევათ. ახალი ინფორმაცია გაგახარებთ. **მერწყული** – ცდუნებას არ აჰყვეთ. იოლად ნურავის მიენდობით. პირად ცხოვრებაშიც სიფრთხილე გამოიჩინეთ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. საკუთარი პოზიციების დაცვა აუცილებელია. ნუ მოეშვებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. უბანი თბილისში; 2. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. მდინარე ციმბირში; 4. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 6. ბრიტანეთის მეორე სახელწოდება; 9. გერმანული მოდების ჟურნალი; 11. აეროპორტი ბუქარესტში; 15. ჯაშუშთა ქსელის ხელმძღვანელი უცხო ქვეყანაში; 16. დაქირავებული კავალერი; 17. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 19. მიწის თხილი; 21. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ სახელმწიფოში მეფის მცირეწლოვანების გამო; 22. ფრანგი კომპოზიტორი, ოპერა „ლაკმეს“ მუსიკის ავტორი.

თარაზულად: 5. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 7. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 8. მთიანეთი აფრიკაში; 10. მგალობელი ჩიტი; 12. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 13. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 14. დანიელი მეზღაპრე; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. პოემა „გველის მჭამელის“ პერსონაჟი; 24. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 25. ვაზის ნასხლავი; 26. ბელორუსიის ფეხბურთელთა გუნდი; 27. კაზაკთა წინამძღოლი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაიერი; 2. აქციზი; 3. ნაფტუსია; 4. ალპები; 6. რედისონი; 8. შტურმი; 11. ჰაბანერა; 12. კოდექსი; 16. ლონჟა; 17. ბაქია; 18. ლუვრი.

თარაზულად: 1. ბოქაული; 5. სქური; 7. ჰანტელი; 9. ეგვიპტე; 10. ხერსონი; 13. მოციონი; 14. მადონა; 15. გობი; 19. სექვოია; 20. ბაბლუანი; 21. გალაქტიკა; 22. კაბუკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. უტზონი; 2. წირვა; 3. ხუანხე; 4. მალაგა; 6. საპალნე; 9. ამება; 11. გლოსიტი; 15. რუდიმენტი; 16. ჩითილი; 17. პუნქტირი; 19. აქსიომა; 21. ბაიკერი; 22. სენატი.

თარაზულად: 5. სტატისტი; 7. ამბიცია; 8. ალონსო; 10. სმეტანა; 12. გრილი; 13. კოლიე; 14. დობერმანი; 18. ტოსკა; 20. ჩიხურა; 23. რეიმსი; 24. იკეა; 25. რულეტი; 26. ტოტო; 27. არითმია.

ნუგზარ ლორთქიფანიძე გარდაიცვალა

რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე 75 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. როგორც მისი მეგობრები აღნიშნავენ, რეჟისორს გულმა უმტყუნა.

ნუგზარ ლორთქიფანიძე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში კომპოზიტორ მიქაელ ტარივერდიევის 85 წლის საიუბილეო საღამოზე იმყოფებოდა.

ნუგზარ ლორთქიფანიძე თეატრში მოულოდნელად შეუძლოდ გახდა. თეატრში მყოფმა რეჟისორის შვილმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა. ექიმებს ნუგზარ ლორთქიფანიძე უგონო მდგომარეობაში დახვდათ. რეჟისორი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

საქართველოს თეატრებში დადგმული აქვს 60-ზე მეტი სპექტაკლი. ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ნუგზარ ლორთქიფანიძეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

ქუთაისში ვასილ ამაშუკელის ძეგლს გადამღები აპარატი მოპარეს

ქართველი რეჟისორისა და კინოოპერატორის ვასილ ამაშუკელის ძეგლი გაძარცვეს.

ქუთაისში საქართველოს სახალხო არტისტის ძეგლი საზეიმო ვითარებაში სამი წლის წინ, 26 მაისის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გაიხსნა. მოქანდაკემ ვასილ ამაშუკელი გადამღებ აპარატთან ერთად გამოაქანდაკა, თუმცა ხელოვანის ძეგლს გადამღები აპარატი მოპარეს.

ვასილ ამაშუკელი პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის ავტორია. 1908 წელს ბაქოში გადაიღო დოკუმენტური ფილმები, რომლებიც შემორჩენილი არ არის, ცნობილია მხოლოდ მათი სახელები და ქრონომეტრაჟი. ამ ფილმების გამო ქართული კინოს ათვლის წერტილად სწორედ 1908 წელი ითვლება. მან ბაქოში გადაიღო სამხედრო აღლუმი, რომელიც ღუნიბის აღების და შამილის დატყვევების 50 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი.

1912 წელს ვასილ ამაშუკელმა ფირზე აღბეჭდა აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, რომელიც ქართული დოკუმენტური კინოხელოვნების უნიკალური ძეგლია.

ვასილ ამაშუკელის მოგონებები, მოგზაურობის დროს გადაღებულ ფოტოებთან ერთად, დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში.

ზვიად ბერიაშვილი 37 წლის ასაკში გარდაიცვალა

ანსამბლების „იმერის“ და „მუხამბაზის“ წევრი, ასევე „ქალდეას“ და ბავშვთა ფოლკლორული გუნდის „დავითიანის“ ხელმძღვანელი ზვიად ბერიაშვილი 37 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი ახმეტელის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელიც იყო.

ახალგაზრდა ლოტბარს, კომპოზიტორსა და დირიჟორს ექიმებმა რამდენიმე თვის წინ სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. ზვიადის უცხოეთში გასამგზავრებლად გაიმართა საქველმოქმედო სპექტაკლები, კონცერტები, სხვადასხვა ღონისძიებები და მისმა მეგობრებმა ხელოვანის თურქეთში სამკურნალოდ გამგზავრება შეძლეს.

რამდენიმეთვიანი მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდა და ზვიადის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ინფორმაცია ზვიად ბერიაშვილის გარდაცვალების შესახებ ახმეტელის თეატრის მსახიობმა ანდრია გველესიანმა გაავრცელა:

– ჩვენი ზვიადი.... უფალმა გაანათლოს შენი სული ზვიად... გვიყვარხარ და გვეყვარები მუდამ, მადლობა თითოეული წუთისთვის რაც ჩვენთან ერთად გაატარე, ბევრი სითბოსა და სიკეთისთვის.. მადლობა ღმერთს, რომ ვიცნობდი შენნაირ კეთილ, ნიჭიერ და მშრომელ ადამიანს. ძალიან დამწყდა გული... ძალიან... ჩვენ ვილოცებთ შენთვის...

ახალგაზრდა ხელოვანის გარდაცვალებას მისი მეგობრები და კოლეგები გამოეხმაურნენ.

ანსამბლი „შავნაბადა“:

– ჩვენი ზვიად ბერიაშვილი გარდაიცვალა! უნიჭიერესი, გემოვნებიანი მუსიკოსი, ლოტბარი, რეგენტი, დირიჟორი, ენთუზიასტი, პედაგოგი, მომღერალი, მგალობელი, მოღვაწე და ამ ყველაფერზე დიდი – ერთგული მეგობარი. ძალიან დააკლდება მისი შემოქმედება ქართულ კულტურას!

თიბისი ბანკში კი მისი მეუღლის თამარ ლეჟავას სახელზე სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საინგილოს ქართული თეატრი დახმარებას ითხოვს

„იავნანამ რა ჰქმნა“ და თამრი ბართაიას „მუყაოს სახლები“.

ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, გავოგნდი თუ რა პირობებში უწევთ მსახიობებს მუშაობა, როგორი ენთუზიაზმით ეკიდებიან საყვარელ პროფესიას და, საერთოდ, როგორი მაგარი ქართველები არიან.

ამ ხალხს სწორედ ახლა სჭირდება დახმარება და თეატრს გადარჩენა!!! პირველ რიგში, რაც ყველაზე მთავარია, უნდა შევუგროვოთ სათეატრო და ქორეოგრაფიული კოსტიუმები. ახალი სპექტაკლების დასადგმელად.

ძვირფასო თეატრის ხელმძღვანელებო, არც კი იცით, როგორ დაეხმარებით საინგილოს ქართულ თეატრს, რეპერტუარიდან მოხსნილი სპექტაკლების კოსტიუმების შეგროვებით. ხვალიდან ტანსაცმელს, თეატრალურ ლიტერატურასთან ერთად, შევაგროვებთ თეატრალური უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, დავით აღმაშენებლის გამზირი 40, გამომცემლობა კენტავრში. იკითხეთ მაკა ვასაძე.

ახლა მსახიობებს ვთხოვ, ვის გაქვთ სურვილი, რომ რამდენიმე დღით წამოხვიდეთ საინგილოში და ამ არაჩვეულებრივ დასს მეტყველების მასტერკლასები ჩაუტაროთ?

ხომ შეიძლება, ასეთმა უმნიშვნელოვანესმა საქმემ ცოტა ხნით მაინც გააერთიანოს ქართული თეატრი?!

თბილისში გამომგზავრების დროს თეატრის თანამშრომელმა, ქალბატონმა ლიანამ მკითხა, საქართველოს მოსახლეობის რამდენმა პროცენტმა იცის ჩვენი არსებობაო?

მოდით, ყველამ ერთად გავაგებინოთ, რომ ჩვენ არათუ მათ არსებობაზე, არამედ მათ მომავალზეც ვფიქრობთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ამერიკელის მიერ აუქციონზე შეძენილი მაცივარი მკვდარი კატებით იყო სავსე

ამერიკელმა, რომელმაც აუქციონზე ძველი საწყობი 150 დოლარად შეიძინა, მასში ორი საყინულე მაცივარი აღმოაჩინა, რომლებიც მკვდარი კატებით იყო სავსე.

საწყობის ახალმა პატრონმა, ქალბატონმა განაცხადა, რომ ერთი მკვდარი კატა ალუმინის სინზე იდო, ზოგიერთი საყინულეზე ეყარა, მაგრამ უმეტესობა შიგნით ეწყო.

კომპანიამ, რომელმაც ლონ-აილენდში აუქციონი ჩაატარა, დაუყოვნებლივ მიმართა პოლიციას და ცხოველებთან სასტიკად მოპყრობასთან ბრძოლის ამერიკულ საზოგადოებას.

საწყობი აუქციონზე მას შემდეგ იქნა გამოტანილი, როდესაც მისმა ადრინდელმა დამქირავებელმა ივლისის თვიდან ქირის გადახდა შეწყვიტა.

ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. კატების გვამები ექსპერტიზაზე იქნა გადაგზავნილი, რათა მათი სიკვდილის მიზეზები დადგინდეს.

პოლიცია ეძებს 66 წლის მამაკაცს, რომელმაც საწყობი 2014 წელს იქირავა.

ცოლის უმაკიაჟოდ ნახვის შემდეგ არაბმა ქმარმა განქორწინება მოითხოვა

არაბთა გაერთიანებული საემიროების მცხოვრებმა მამაკაცმა, მას შემდეგ, რაც პირველად ნახა თავის მეუღლე მაკიაჟის გარეშე, მასთან განქორწინებაზე განცხადება შეიტანა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეუღლეები საკურორტო ქალაქ შარჯას ერთ-ერთ პლაჟზე ერთად ისვენებდნენ. როდესაც ქალმა სახიდან მაკიაჟი ჩამოირეცხა, რათა წყალში შესულიყო, ქმარმა, რომლის ვინაობა არ სახელდება, მის გარეგნობაში მომხდარი ცვლილება შენიშნა.

ასევე მამაკაცმა გამოარკვია, რომ მის 24 წლის მეუღლეს რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, რომ ატარებს ხელოვნურ წამწამებს და ფერად კონტაქტურ ლინზებს ხმარობს.

30 წლის მამაკაცმა მეუღლესთან განქორწინების გადაწყვეტილება მიიღო, ვინაიდან თავი მოტყუებულად იგრძნო. ფსიქოლოგის თქმით, რომელიც გოგონას ესაუბრა, მამაკაცმა მაშინვე გამოაცხადა მასთან დაშორების შესახებ და მასთან რაიმე სახის ურთიერთობაზე უარი თქვა.

500 კილოგრამიანი ეგვიპტელი ქალის ნათესავები შველას ითხოვენ

ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში მცხოვრებმა ოჯახმა საზოგადოებას და ექიმებს თხოვნით მიმართა, დაეხმარონ მათ ნათესავ იმან ახმად აბდულატის, რომელსაც თავის ცხოვრების უდიდესი ნაწილი სახლში აქვს გატარებული, მისი სხეულის მეტისმეტად დიდი მასის გამო.

36 წლის ქალი 500 კილოგრამს იწონის და შესაძლოა დაიღუპოს, კაიროს ერთ-ერთ საავადმყოფოში თუ სასწრაფოდ ოპერაციას არ გაუკეთებენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იმანი უკვე 25 წელია სახლიდან ვერ გამოდის. ის არასოდეს ყოფილა სასწავლო დაწესებულებაში. მას მისი და და დედა უვლიან. ბავშვობაში იმანს ელეფანტიაზის დაავადება (სპილოს, ანუ ლიმფური სისტემის დაზიანება) დაუდგინეს.

აბდულატის დისა და დედის თქმით, ბავშვობაში მასზე ასევე დიდი ზემოქმედება მოახდინა მამის გარდაცვალებით გამოწვეულმა სტრესმა. მრავალი წლის მანძილზე ცდილობდნენ ისინი დაავადების გაკონტროლებას, მაგრამ ახლა უკვე მათ მხოლოდ ექიმების ჩარევის იმედიღა აქვთ და სწორედ ამიტომ მიმართეს თხოვნით საზოგადოებას.

ოფიციალურად მსოფლიოში ყველა დროის ყველაზე მსუქანი ქალის წოდება ამერიკელ კეროლ იაგერს ეკუთვნის (544 კილოგრამი), რომელიც 1994 წელს 34 წლის ასაკში მყოფი გარდაიცვალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მზია და ანზორ ხარბედიები მწუხარებით იუწყებიან დედის

ნათელა ანტიფოს ასულ შურღაია-ხარბედიას

გარდაცვალებას.

გამოსვენება: 29 ოქტომბერს, 14 საათზე, ქ.რუსთავის ვ.გორგასლის სახელობის ეკლესიიდან (წმ. ნინოს ქუჩა).

აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის თანამშრომლები აღმოსავლეთ საქართველოში თანაგრძნობას უცხადებენ თინათინ (მზია) ხარბედიას დედის

ნათელა შურღაია-ხარბედიას

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

ხუთშაბათი 27 ოქტომბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00, 17.00** დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მილმა" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **12.20** მხ/ფ "**კოპპოლას ასე სჩვევიათ**" (ვ.ჰარელსონი) **15.00, 01.30** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** ქართ. ტ/ფ **22.30** "ვექტორი" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** "უცნობი მუსიკა" **02.30** მხ/ფ "**კაინის აღზევება**"

08.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **09.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**ვიცე მეფეები**" (I ნან.) **12.00** ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტრ ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **15.00, 18.00, 20.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჭამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პაპარაძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სერ. "**პერიკრატი** (9+1)" **00.30** მხ/ფ "**ბრბი "ზის" სიკვდილი და ცხოვრება**" **02.25** მხ/ფ "**გადამწყვეტი ხმა**" **04.30** მხ/ფ "**ჩე: ნაწილი მეორე**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საბა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **12 23.00** პროფილი P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "**პარსკვლავური ომები – მეამბოხეები**" **9.00, 19.30** სერ. "**ვინტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**სანდალი**" **11.00** სერ. "**ბრეის ანატომია**" **13.00, 1.30** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** ცოლები და ქმრები **17.30** სერ. "**ახალი გოგო**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**უსხო – ალდგომა**"

06.15 სჯანი-თეოსოფია, ანთროპოსოფია **06.40** პატერიკი-დოროთე **06.45** დ/ფ "მიხეილ მესხი" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "დიზაინი ფერში" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართ. ან/ფ **15.30** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **16.05** დ/ფ ველური ბუნება" **16.30** კონცერტი **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.45** ამბიონი-კანონის კითხვა **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა "პუანტესია" **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 1.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) საბავშვო **8.00** სერ. "**ბაბილანა**" **10.00, 13.20** სერ. "**სენტრალური საავადმყოფო**" **11.00, 18.50** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.10, 1.30** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.10** სერ. "**ბევი**" **21.55** "ღამის კონტაქტი" **23.00** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 ოქტომბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3803	ევრო — 2.5919
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9132	100 რუსული რუბლი — 3.8292

ამინდის პროგნოზი 27 ოქტომბრისთვის

საინგილოს ქართული თეატრი დახმარებას ითხოვს



თეატრის კრიტიკოსთა კავშირის თავმჯდომარე ნიკოლოზ წულუკიძე ჰერეთში, საინგილოში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფელ ალიბეგლოს დრამატულ ქართულ სახელმწიფო თეატრში შექმნილ მძიმე ვითარებაზე სოციალურ ქსელში ღია წერილს აქვეყნებს და მოუწოდებს ქართულ თეატრს, მათ დასახმარებლად გაერთიანდნენ.

ნიკოლოზ წულუკიძე:

– ღია წერილი სრულიად ქართულ თეატრს! სასწრაფოდ! ვიმყოფებოდი ჰერეთში, საინგილოში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფელ ალიბეგლოს, დრამატულ, ქართულ სახელმწიფო თეატრში, სადაც დავესწარი ორი სპექტაკლის პრემიერას, იაკობ გოგებაშვილის

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ირინა ბაირამაშვილი ბიჭის დედა გახდა



მომღერალი ირინა ბაირამაშვილი ბიჭის დედა გახდა. დედობის ბედნიერება მან პირველად განიცადა.

არაერთი მუსიკალური პროექტის მონაწილე მომღერალს ვაჟკაცი 25 ოქტომბერს შეეძინა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

ირინა ბაირამაშვილმა და მისმა მეუღლემ მიკუნა ღაღაშვილმა თავიანთ პატარას დანიელი დაარქვეს.

ინფორმაცია მომღერალმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

–'დაიბადა ჩემი პრინცი, დანიელი.

პატარა დანიელი ახალბედა მშობლებთან ერთად უამრავ მილოცვას და საუკეთესო სურვილებს იღებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბენედიქტ კამბერბეტჩის მეუღლე ფეხმძიმედაა

ბრიტანელი მსახიობის ბენედიქტ კამბერბეტჩის მეუღლე, მსახიობი და რეჟისორი სოფი ჰანტერი მეორედ დაფეხმძიმდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი პორტალი ავრცელებს, თუმცა ეს ინფორმაცია ოფიციალურად ჯერ არ დაუდასტურებიათ.

კამბერბეტჩმა და ჰანტერმა 2015 წლის 14 თებერვალს იქორწინეს, წმინდა ვალენტინის დღეს. საქორწინო ცერემონია კუნძულ უაიტზე გაიმართა. იმავე წლის ივნისში წყვილს შვილი შეეძინათ, რომელსაც კრისტოფერი დაარქვეს.

40 წლის კამბერბეტჩმა სახელი სერიალ „შერლოკში“ მონაწილეობით გაითქვა, რომელიც ეკრანებზე 2010 წელს გამოვიდა. პრემიერიდან ერთ წელიწადში პროექტი სატელევიზიო პრემიის ბაფტა-ს მფლობელი გახდა კატეგორიაში „საუკეთესო დრამატული სერიალი“. ბრიტანელ მსახიობს ასევე შესრულებული აქვს როლები ისეთ ფილმებში, როგორებიცაა: „იმიტაციის თამაში“, „12 წელი მონობაში“, „ჰობიტი: ხუთი სამეფოს ბრძოლა“ და ა.შ.

სოფი ჰანტერი ბრიტანული თეატრისა და ოპერის რეჟისორია. 2007 წელს მან მიიღო სემიუელ ბეკეტის პრემია პიესის ავანგარდისტული დადგმისთვის. მსახიობის რანგში მას შესრულებული აქვს როლი ფილმში „პატივმოყვარეობის ბაზრობა“ და სერიალში „წმინდა ინგლისური მკვლელობები“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, შენ როგორი ქალები მოგწონს: ჭკვიანები, თუ ლამაზები?

– არც ერთი და არც მეორე! ხომ იცი, რომ მხოლოდ შენ მიყვარხარ!!!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– მე და ჩემმა ქმარმა სრულ სექსუალურ ჰარმონიულობას მივაღწიეთ.

– მართლა? როგორ?

– გუშინ ორივეს თავი გვტკიოდა.

კაცი კვდება და ცოლს ეუბნება:

– სიკვდილის წინ ერთი თხოვნა შემისრულე.

– მითხარი, რა თხოვნაა?

– მარჯვნივ შენ დამიდექი, მარცხნივ კიდე დედაშენი დამიდგეს.

– ეგ რაღა მოიფიქრე, ჰაა?

– მინდა ქრისტესავით მოვკვდე ორ ავაზაკს შორის!

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– შენ ჩემი ოცნების ქალი ხარ, ლამაზი, მხიარული...

– ჩემთან დაწოლა გინდა?

– და თანაც ჭკვიანიც!

•••

მამაკაცი კაფეში ყავას მიირთმევს. გვერდით მაგიდასთან ლამაზ ქალს შენიშნავს და გადაწყვეტს გაიცნოს. მასთან მივა და ეუბნება:

– შეიძლება თქვენ მაგიდასთან დავჯდე?

– თქვენთან დაწოლას არ ვაპირებ, – მოულოდნელად უპასუხა ქალმა.

კაფეში მყოფებმა მამაკაცს დამცინავად გადმოხედეს და ირონიულად ჩაიცინეს. კაცი უკან გამობრუნდა და თავის მაგიდას მიუჯდა. მცირე ხანში, ქალი მის მაგიდასთან გადმოჯდა და ეუბნება:

– მაპატიეთ, მაგრამ იცით რაშია საქმე, მე ფსიქოლოგი ვარ და ვწერ დისერტაციას თემაზე „სხვადასხვა ადამიანების ქცევა არა ადეკვატურ ვითარებაში“.

კაცმა ქალს შეხედა და უცბად მთელი დარბაზის გასაგონად ეუბნება:

– რაა? ასი ლარი?!

•••

დილით ქმარი ცოლს ეუბნება:

– გუშინ მთვრალი არ ვყოფილვარ.

– მართლა? აბა გუშინ ვინ ყვიროდა, ოფიციანტ, კარი მომიტანე, უნდა წავიდეო!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

20 ოქტომბრიდან

ჩემი პირველი სიტყვები ანგარიში

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის. წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



21 ოქტომბრიდან

მაიკლ პუნკე

გადარჩენილი

რომანის მთავარ გმირს, ჰიუ გლასს, თავს დაესხა დათვი გრიზლი და დაასახიჩრა. მომაკვდავი თანამეგზურებმა მიატოვეს.

გლასი გადარჩა და დამნაშავეებზე შურის საძიებლად გაემართა. სწორედ აქ იწყება ჰიუ გლასის გადარჩენის დაუჯერებელი ამბავი.

ჰოლივუდში ამ რომანის მიხედვით გადაღებულმა ფილმმა 2016 წელს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო, ოსკარი დაიმსახურა.

ნანატრი ოსკარი მიიღო მთავარი როლის შემსრულებელმა ლეონარდო დი კაპრიომაც, რომლისთვისაც ეს პირველი ოსკარია.

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

უფეხო და უხელო ბრიტანელი ბიჭი საბრძოლო ხელოვნებას ეუფლება

ბრიტანეთის ქალაქ პარანპორტის მცხოვრები რვა წლის ბიჭმა, რომელსაც არცერთი კიდური არ აქვს და რომლებიც მან ჩვილ ასაკში გადატანილი მენინგიტის გამო დაკარგა, ორთაბრძოლების სექციაში დაიწყო ვარჯიში. მისი ვარჯიშის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთ გამოცემაში გამოქვეყნდა.

მარშალ ჯენსონმა ინტერნეტში საბრძოლო ხელოვნებისადმი მიძღვნილი ვიდეორგოლი ნახა და ჯიუ-ჯიცუში საკუთარი ძალების მოსინჯვის იდეამ შეიპყრო.

მანამდე, ბიჭმა, რომელიც ცდილობს აქტიური ცხოვრება ჰქონდეს, ფეხბურთი ითამაშა კლუბ „ტოტენჰემის“ მოთამაშეებთან. ამისთვის კი მარშალმა რბილი პროთეზები გამოიყენა. რაც შეეხება ორთაბრძოლებს, ჯიუ-ჯიცუში ის პროთეზების გარეშე ვარჯიშობს.

მართალია ბავშვს ხელები და ფეხები მოკვეთეს, მაგრამ გადატანილ ავადმყოფობას მის გონებრივ განვითარებაზე არ უმოქმედია. მარშალის მამის თქმით, გარშემომყოფნი თანაუგრძნობენ მათ მისი ინვალიდობის გამო.

– მაგრამ, მარშალი, ჩვენ ბევრ რამეს გვაძლევს. ის ბედნიერია და მე ძალიან, ძალიან ვამაყობ მისით, – განაცხადა ბავშვის მამამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 2. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 3. ეპიკური პოემა „ილიადას“ ავტორი; 4. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 6. ჩინური ფაიფური; 8. დოსტოევსკის რომანი; 11. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 12. მუსლიმთა რელიგიური სამართალი; 16. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 17. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 18. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი.

თარაზულად: 1. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. მზის სისტემის პლანეტა; 7. კლიენტთათვის ღვინის შემრჩევი მაღალი კლასის რესტორნებში; 9. ცხვრის საკრეჭი დიდი მაკრატელი; 10. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 13. ჰოლანდიის კუნძული ჩრდილოეთის ზღვაში; 14. ფრანგი კინორეჟისორი; 15. ჩეხური მოტოციკლეტი; 19. ქართული ნაციონალური კერძი; 20. ტყუპი ცხოველის ქართული სახელწოდება; 21. ქართული მინერალური წყალი; 22. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა